„ჩონგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო“

ყორხელი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2021 წელი ● №7-8 (9501-9502) ● 1-30 აპრილი ● ფასი 1 ლარი

2 მაისი – ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

ლოცვა ერისა და მამულისათვის

ღმერთო და მამაო უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესო, ყოვლისა დაბადებულისა შემოქმედო, რომელმან სიტყჳთა შენითა ყოველივე სიბრძნით ჰქმენ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, და განასრულენ ქმნილებაჲ შენი მადლითა სულისა შენისა წმიდისაჲთა, რომელმან ხატად შენდა და მსგავსად შეჰქმენ კაცი და დაუმორჩილე ყოველივე ქუეშე ჴელთა მისთა და დაადგინე იგი თავად ქმნულთა შენთასა, გამოსახვად უკუდავი იგი მეუფებაჲ და ჴელმწიფებაჲ შენი, რომელი, და-რაჲ-ეცა, არა უგულებელს-ჰყავ, არამედ სიმდიდრითა მოწყალებათა შენთაჲთა და კაცთ-მოყუარებითა განაგე აღდგინებაჲ და ცხორებაჲ მისი, ვიდრე მხოლოდ-შობილისა ძისაცა შენისა მსხუერპლად უბინოდ განცემაჲ მისისა ცხორებისათვის არა უღირს-იჩინე, და სული შენი ყოვლად-წმიდაჲ და ცხოველსმყოფელი ძისა შენისა მიერ გარდამოუვლინე მათ სიბრძნისა და ძლიერებისა და მადლით განმღრთობისა მომატყუებელად, რომელმან ჟამსა ბაბილონებრისა საცთურისასა ერთ-ჴმა და ერთ-ენა ნათესავისა მიმართ, ბოროტისა მზრახველისა, ჯერ-იჩინე მოვლინებაჲ სულისა შენისა წმიდისაჲ და საღმრთოჲთა მოწყალებითა და ქველისმოქმედებითა შენითა შეურივნენ და დაჰბადენ ენანი თესლად-თესლადთა ნათესავთა და ტომთა და ერთა განსაყოფელად, რაჲთა ყოველი კაცი თჳსისა ნათესავისა ენასა ზედა მიუთხრობდეს საღმრთოსა დიდებასა შენსა და არა თანა-აღერეოდეს სხუათა ენათა, ერთ-ენა ქმნად, მსახურებად ბოროტისა მის პირველისა, რომელმან ტომად-ტომადსა ნათესავსა კეთილ-განსაგებელად განუწესენ მეფენი და მთავარნი, ჴელმწიფენი და წინა-მჯდომარენი, მოურავნი და განმგენი, რაჲთა სცვიდენ და იურვიდენ შენ მიერ მომადლებულითა ენითა მეტყუელსა ერსა და ტომსა, რწმუნებულსა მათდამი, და აღაორძინებდენ და განამდიდრებდენ ამას ყოვლითავე სულიერითა და ჴორციელითა კეთილითა, და განამტკიცებდენ საზღვართა მისთა, რაჲთა არა დასადრგუნველ იქმნეს მარბიელთა უცხოთა ტომთა და ნათესავთაგან, და ჟამსა ზოგადისა შეჭირვებისასა ზედა-ადგენ ჭირვეულთა და ჴელის-აღუპყრობელთა და ძჳრ-ხილულთა, შენ, აწცა, უფალო, მოიხილე მოწყალითა თუალითა შენ მიერ დანერგულსა ვენახსა – ნათესავსა ამას ზედა ჩუენ ქართველთასა, რომელი ძლიერებისა მარჯუენისა შენისაჲთა აღმომორჩებულ არს გარემო საყოფელთა კედარისთა, აღსაარებად სახელსა შენსა წმიდასა და თაყუანისცემად საღმრთოთა სიწმიდეთა შენთა, და აწცა სათნო-იჩინე აღორძინებად და განმრავლებად და აღვსებად მათდა სულითა სიბრძნისაჲთა, ურთიერთასისა სიყუარულისა და საღმრთოჲსა გულისხმისყოფისაჲთა, და მოჰმადლენ მათ განმგებელად და მმართებელად მწყემსნი და ჴელმწიფენი ბრძენნი და სახიერნი, რაჲთა არცა ერთი ცხოვარი სამწყსოჲსა თჳსისანი წარწყმიდონ, არამედ იღუწიდენ და ჰფარვიდენ და წარუმართებდენ მათ და კეთილად იპყრობდენ ყოველთა ქუეყანათა მისთა, და მკლავისა შენისა ძლიერებითა შეჰმუსრნენ ყოველნი მტერნი და მბრძოლნი, მომავალნი აღმოფხურად ენისა და ერისა ჩუენისა საყოფელთაგან მისთა, და მოჰმადლენ ძლევაჲ უხილავთაცა მტერთა ზედა და ჴელმწიფებათა ბნელისათა, რაჲთა წინამძღურებითა მათითა შენ მიერ მოგებულმან ერმან საზეპურომან დაიმკჳდროს საუკუნო სუფევაჲ შენ-მიერი და დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა შინა მოუკლებელითა დიდებისმეტყუელებითა გაკურთხევდეს, გაქებდეს და გიგალობდეს შენ, ქველისმოქმედსა მაგას სულთა ჩუენთასა, მხოლოდშობილისა ძისა შენისა თანა, ყოვლადწმიდით და სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ, აწ და მარადის და საუკუნეთა შინა საუკუნეთასა, ამენ.

მამულიშვილი

რამდენი კარგი ადამიანი, სასიქადულო მამულიშვილი დაკარგა საქართველომ ამ ბოლო დროს. სულ ახლახანს გურამ დოჩანაშვილი. თუმცა „უკვდავთან სიკვდილს რა ხელი აქვს?”

გთავაზობთ გურამ დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა”-დან ნაწყვეტს.

* * *

- თქვენს ნება-სურვილზე რომ იყოს, - ამბობს ხელმძღვანელი, - ცხოვრებას როგორ მოაწყობდით...

- ჩემსას, საკუთარს?

- აარა, გენაცვალე, - ინადით ეუბნება ხელმძღვანელი, - საზოგადოების!

- ღმერთო ჩემო... - მღელვარედ წარმოსთქვამს რესპონდენტი, - მომეყურა თუ... მთელი ცხოვრება ამ შეკითხვას ველოდებოდი!

- მართლა? - განცვიფრებულია ხელმძღვანელი, - გიფიქრიათ ამაზე?

- სხვა რა მიკეთებია, - დაფიქრებული ამბობს რესპონდენტი და უცებ მხნევდება, - გიამბოთ?

- როგორ მოვაწყობდი? - კაბინეტში დადის, დაიარება, ბოლთასა სცემს, სურათებს შესცქერის: ღრმა დეკოლტეიან ქალებს, როგორც წესი, სერიოზული გამომეტყველება აქვთ, ალბათ, თამამი დეკოლტეს გასაწონასწორებლად, მკერდდაფარულნი - იღიმებიან, არის გამონაკლისიც - ღიმილი და დეკოლტე ერთად, ორიოდ ქალს ყალბი ტრაგიზმი აღბეჭდია სახეზე, აგერ, ის კაციც, გუშინ სამჯერ რომ გააშავეს, თვალსაჩინო ადგილზეა სტენდში, აქავეა ვიღაც ყმაწვილი, ბოროტად იღიმება, ისიც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი, ცოტათი ქვემოთ - ვიღაცაა, სუფთა გაიძვერა, იმის გვერდით კი უნდობლად იმზირება წვრილტუჩა კაცი. არის კეთილი სახეებიც, ბავშვი იღიმება, „როგორ მოვაწყობდი? - ამბობს რესპონდენტი, ცოცხლდება, - როგორ და მთელ ქალაქ კარცერებით მოვფენდი”. „რაო? - ყურს არ უჯერებს ხელმძღვანელი, - როგორ თუ... ეს რა - დესპოტიზმია?”

- არა, გეთაყვათ, დესპოტიზმისაგან ღმერთმა დამიფაროს, - ღიმილით ამშვიდებს რესპონდენტი, - ეს არ იქნება კარცერი ჩვეულებრივი გაგებით, ეს იქნება კარცერ-ლუქსი...

- როგორ თუ ლუქსი?!

- თქვენი გაკვირვება სამართლიანია, - ეთანხმება რესპონდენტი, - არის ქვეყნად სიტყვები, რომლებისთვისაც ძალზედ ძნელია გვერდიგვერდ ყოფნა, ამ შემთხვევაშიც ასეა, სად „კარცერი”, და სად „ლუქსი”, მაინც არ არსებობს დედამიწაზე ისეთი ორი სიტყვა, ოდესმე ერთმანეთს რომ არ შეეხამოს, ახლაც ასეა, - ეს იქნებოდა კარცერი-ლუქსი, წიგნებიანი თაროებით სავსე, რბილი, მოხერხებული სავარძლით, კოხტა მაგიდაზე ნათურა - სოკოთი, ეს იქნებოდა კარცერი - ოცნება ყოველი წიგნის მოყვარულთათვის, რას იზამ, ყველას არ შეუძლია ბიბლიოთეკაში კითხვა, და ვინც თავისი ფეხით შევა ჩემს მიერ შემოღებულ მოწყობილობაში, მაშინ ეს ოთახი იქნება უბრალოდ - ლუქსი, მრავალთათვის კი - კარცერი-ლუქსი... აი, სწორედ აქედან უნდა დამეწყო - მე და ჩემნაირები, ეე, ჩემნაირები - ეს იქნებოდა უთვალავი კლიმი, ქუჩა-ქუჩა ვივლიდით, აი, ვთქვათ, მივდივართ... მივდივართ, ავიარეთ, ჩავიარეთ, კედელს ორი ჯეელი მიყუდებია, დგანან, მასლაათობენ, იფურთხებიან, დგანან, არსად არ აპირებენ წასვლას, ფეხებზე ჰკიდიათ, რომელი საათია, რა დროა, ღამეა თუ შუადღე, დგანან, გოგოებს ეანგლებიან, წაუსტვენენ, წაუღიღინებენ, ხანდახან ერთმანეთს გაეხუმრებიან თავისებურად - პანღურს ამოარტყამენ ერთურთს, იკრიჭებიან და სწორედ ამ დროს მე და ჩემნაირები - ტაც! - ხელს ვსტაცებთ და ზემოაღწერილ კარცერში მიგვყავს...

- ძალით? - აინტერესებს ხელმძღვანელს, და პირველად იწერს რაღაცას.

- დიახ, დიახ, ძალისძალათი. - მტკიცედ ამბობს რესპონდენტი, შეუვალია, - შესაძლოა, ხელის ამოტრიალებაც კი დაგვჭირდეს. იცით რა, გეთაყვათ, ზოგს მშობლების ზემოქმედებისა სჯერა, ზოგს - სკოლის, ზოგს - ორგანიზაციის, სხვას - უჯრედისა, ზოგს - ცემა-ტყეპისა და კიდევ რა ვიცი რისა აღარ, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს ჩემი ლუქსი, აჰ, უბადლოა - დგას ჩვენი ჯეელი, რაღა თქმა უნდა, ცალკე ვათავსებთ, ამ ჩვენს კარცერში, ჭერში შტერივით იყურება, ფანჯარაზე გისოსებია აკრული, კარიც, რასაკვირველია, დახშულია, გარეთ რომელიმე - რომელიმე კლიმი დარაჯობს, სკამზე ჩამომჯდარი, მუხლებზე - წიგნით, ჩვენი ჯეელი კი უყურებს მაგიდას, სკამსა და... კარადა-თაროებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით - არაფერი. მიდის ქათქათა საწოლთან, წვება, იყურება, იყურება, თვალი უშტერდება და იძინებს. მშობლები, რა თქმა უნდა, გაფრთხილებულნი არიან, „ნუ გეშინიათ, ქალბატონო, თქვენი შვილი კარცერ-ლუქსშია”, „კი ბატონო, კი, ოღონდ ეგ ქუჩა-ქუჩა წანწალს გადაეჩვიოს და...” ჯეელი იღვიძებს, უყრებს ჭერს, შია... რა მოგართვათ, ეკითხება გარედან რომელიმე კლიმი, ჩაი, რძე, კაკაო... კაკაო იყოს, ამბობს ჯეელი, რატომ დამიჭირეთ... მაგრამ რომელიმე კლიმი ამ შეკითხვაზე არა პასუხობს, სულ სხვა რამეს ეუბნება - რამდენი კოვზი შაქარი გნებავთ? ოთხი, ამბობს ჯეელი, რატომ დამიჭირეთ, რომელიმე კლიმი კი - ყველი რომელი გიყვართ, გუდის, იმერული თუ სულგუნი? სულგუნი, რატომ დამიჭირეთ... რომელიმე კლიმი კი საუზმეს უმძრახად აწვდის, ჯეელი საუზმობს, პურზე კარაქს უსვამს, კვერცხს ნაჭუჭს აცლის, ცოტათი ერთობა, სიგარეტი ნებავს? კი ბატონო, სიამოვნებით, „მზიური”, „კოლხიდა”, „ლუქსი”. მაგრამ სხვა რამ გასართობი? - აჰ, არა, არა, აპაპა-პაპა - არავითარი რადიო, ტელევიზორი, ტელეფონი, ჩვენი ოთახი მხოლოდ ლუქსი კი არა, კარცერიცაა ცოტათი... ჩვენი ჯეელი კი აბოლებს და ჭერში იყურება... ჭერი კი ანბანითაა მოხატული - ა, ბ, გ, დ, ე... ხომ კარგი აზრია, კლიმ?

კლიმი რას იტყვის - რა თქმა უნდა, „შესანიშნავიაო” - ამბობს.

- მერე მოდის სადილობის დროც... პირველი თავი, მეორე, მესამე, სალათა როგორი გნებავთ, ზეთით, ძმრიანი თუ უძმრო, რატომ დამიჭირეთ, ა! არაა შენი საქმე - რომელიმე კლიმი - და აქ თუ ღრიალი და ხელ-ფეხის ქნევა ატეხა, უნდა უთხრათ: „თუთ!..” - და ისადილებს. მერე ისევ ახედავს ჭერს, ჭერზე - ანბანია, და ამ დროს ნებისმიერი კლიმი დაუდევრად ეტყვის - თუ გინდა გადაფურცლე რამე, აი იქ კარადაში, წიგნებია... გამოაღებს, ჯერ საბავშვო წიგნები იქნება, დიდასოებიანი, ნახატებიანი, „თხა და გიგო”, „მელია და მწყერჩიტა”, ვთქვათ... და თუ თავისი ნება-სურვილით გადაიკითხავს, ხომ კარგი და თუ კითხვას გულს ვერ დაუდებს, რომელიმე კლიმი კატეგორიულად ეტყვის: „იქამდე არ გაგანთავისუფლებთ, სანამ სანამ კარადაში მოთავსეულ წიგნებს არ წაიკითხავთ...”

- ეს ხომ ძალადობაა, - ამბობს ხელმძღვანელი, - კონკრეტულმა პიროვნებამ საკუთარი ინიციატივით უნდა შეირჩიოს ამა თუ იმ საზოგადოებრივ ღონისძიებათაგან...

- მე ჯერ მხოლოდ ყმაწვილ-უსაქმურზე მოგახსენეთ, ბატონო, - უხსნის რესპონდენტი, - აბა მე რა უფლება მაქვს, ვინმე პატიოსან ქიმიკოსს ვსტაცო ხელი და დავამწყვდიო... - და უცებ ღრმად ჩაფიქრებული ამბობს, - ისე კი, უწიგნურ ქიმიკოსსაც თუ აწყინოს, მამაძაღლი ვიყო...

გურამ დოჩანაშვილი

მუნიციპალიტეტის მერიაში
მადლობა თავისუფლებისთვის...

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ბადრი კალანდარიშვილმა, საკრებულოს წევრმა, ფრაქცია „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ ზაზა ნაჭყებიამ, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა, პატივი მიაგეს 1989 წლის 9 აპრილს ქვეყნისთვის ზვარაკად შეწირულთა ხსოვნას და მემორიალი ყვავილებით შეამკეს.

9 აპრილის სკვერში მოეწყო სისხლიანი კვირის ამსახველი ფოტოგამოფენა.

საქართველოსთვის შეწირულთა ხსოვნასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიულ თარიღებს მიეძღვნა მხატვრულ-მუსიკალური კომპოზიცია, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ახალგაზრდულ თეატრ „ფიროსმანის" და ანსამბლ „მუსიკელის" მონაწილეობით. ასევე, ფოტოგამოფენები - ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკაში, ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხატვრულ-მცოდნეობის მუზეუმებში.

„ჩვენ პატივს მივაგებთ, 9 აპრილს, სამშობლოსათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას და ამავე დროს, სიამაყით აღვნიშნავთ საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს თარიღს — სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს. 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ დასაბამი მისცა საქართველოს თავისუფლებასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესს. ეს დღე ერის ისტორიაში დარჩება, როგორც სიმამაცის, ერთიანობის, თავისუფლებისა და თავგანწირვის სიმბოლო" — აღნიშნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა.

უსასყიდლოდ გადაეცათ

სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სამ პირს გადასაადგილებელი ეტლები უსასყიდლოდ გადაეცა.

საქართველოს პარლამენტის წევრმა, ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ხახუბიამ, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეებმა - დავით ვეერავამ და ლუდუკი ხასიამ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნანა ზარანდიამ, საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" თავმჯდომარემ მაია კვეზერელმა-კოპაძემ, ასოციაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, შშმ პირებს ეტლები და სასურსათო ნობათები გადასცეს.

ასოციაციის წარმომადგენლებმა საჩუქრები ასევე გადასცეს დღის ცენტრის „ლაზარე–2015" ბენეფიციარებს.

შშმ პირთათვის ეტლების უსასყიდლოდ გადაცემის პროგრამა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის", ამერიკული ჰუმანიტარული დონორი ორგანიზაციის - LDS Charities თანამონაწილეობით, მეექვსე წელია რაც ხორციელდება.

123 წელი არნოლდ ჩიქობავას დაბადებიდან

დიდი ქართველი ენათმეცნიერის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, რუსთველოლოგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებლის, საზოგადო მოღვაწის, სენაკის საამაყო შვილის არნოლდ ჩიქობავას დაბადებიდან 123 წლის იუბილეა.

მსოფლიო დონის მეცნიერი 1898 წელს, ძველ სენაკში, საჩიქობავოს უბანში დაიბადა.

იგი იყო ბერლინის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, დიდი ბრიტანეთის სამეფო ფილოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლომონოსოვის პრემიის ლაურეატი.

საჩიქობავოს უბანში, არნოლდ ჩიქობავას სახლ-მუზეუმი, დღეს, ადგილობრივი ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვის საგანია.

დიდი ქართველი ენათმეცნიერის სახლ-მუზეუმამდე მისასვლელ გზაზე, გასული წლის ნოემბერში, ახალი ბეტონის საფარი მოეწყო და ამით, ათწლეულების მანძილზე არსებული პრობლემა მოგვარდა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია ასევე გეგმავს არნოლდ ჩიქობავას სახლ-მუზეუმისთვის ოდის შეძენას, სადაც ახალი სამუზეუმო სივრცე განთავსდება.

დახმარება განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბენეფიციართათვის

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და წითელი ჯვრის საზოგადოების ერთობლივი პროგრამა - „საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისთვის", გრძელდება.

პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ქალაქად და სოფლად მცხოვრებ, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბენეფიციარებს სასურსათო პროდუქტები და ჰიგიენური საშუალებები დაურიგდათ.

თანადგომის აქციის მიმდინარეობას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სენაკის ფილიალის წარმომადგენლები გაეცნენ.

დარიგების პროცესში მონაწილეობა მერიის ადმინისტრაციული, ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურების წარმომადგენლებმა და წითელი ჯვრის საზოგადოების მოხალისეებმა მიიღეს.

სისხლის უანგარო დონაციის აქცია

სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის — სისხლის ბანკის ინიციატივითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მერიის სხდომათა დარბაზში, სისხლის უანგარო დონაციის აქცია - „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე!" - გაიმართა.

ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად, მუნიციპალიტეტის მერიის, მერიას დაქვემდებარებული სტრუქტურების თანამშრომლებმა, სისხლი უანგაროდ გაიღეს.

სისხლის დონაციის პროცესს მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსი, ნატალია ხუბუა ესწრებოდა.

დონაციის აქცია ადამიანების სიცოცხლის გახანგრძლივებას, უმეტეს შემთვევაში კი, სიცოცხლის გადარჩენას უზრუნველყოფს.

მსგავს კამპანიაში მონაწილეობის მზადყოფნის სურვილს მუნიციპალიტეტის მერია მუდმივად გამოთქვამს.

ინფრასტუქტურული პროექტები

სენაკის მუნიციისაპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები მუდმივ რეჟიმში ხორციელდება.

თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულიდან მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბათარიასკენ მიმავალი გზის ასფალტირების პირველი ეტაპის სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტის ღირებულება 383 413 ლარს შეადგენს; მათ შორის - 2021 წელს შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებაა - 356 642 ლარი, 2022 წლის - 26 771 ლარი.

სამუშაოებს სს „არქეოპოლისი" ახორციელებს.

საგზაო ინფრასტრუქტურის განახლების პროცესი ასევე უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ქალაქად და სოფლად, მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა ლოკაციაზე.

ბოლო წლების მანძილზე, სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რეაბილიტაცია ჩაუტარდა და ამ ეტაპზე უტარდება ისეთ გზებს, რომლებსაც ათწლეულებია აღდგენითი სამუშაოები არ ჩატარებია. ეს ეხება როგორც მუნიციპალურ, ასევე შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებს.

(გაგრძელება მესამე გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში (დასასრული)

„ჩვენ ერთნი ვართ დედამიწაზე“

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან, მოადგილესთან, კახაბერ კუპრეიშვილთან, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან, გივი მისაბიშვილთან და ამავე სამსახურის უფროს სპეციალისტთან, ირმა კუპრეიშვილთან ერთად, პროექტით - „ჩვენ ერთნი ვართ დედამიწაზე" კონკურსში გამარჯვებულ, პირველი საჯარო სკოლის წარმატებულ მოსწავლეებს, დირექტორს ნინო გოგელიძეს, პედაგოგებს - ელისო შურღაიას და მამუკა კუჭავას შეხვდა.

ქალაქ სენაკის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: ნიკოლოზ კაჭარავამ, ანი ბოკუჩავამ, ანამარია კინტერაიამ, ანა და ალექსანდრე ნაჭყებიებმა, მონაწილეობა მიიღეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის - „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა", ქვეპროგრამის - „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით", კონკურსში.

მათ, პროექტით - „ჩვენ ერთნი ვართ დედამიწაზე", კონკურსის გამარჯვებულის ტიტული მოიპოვეს და მინისტრის სიგელებით დაჯილდოვდნენ.

მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა წარმატებულ მოსწავლეებს მოპოვებული გამარჯვება მიულოცა, თითოეულ მოსწავლეს ერთჯერადი ფულადი ჯილდო გადასცა და შემდგომი წინსვლა უსურვა

საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება

მიუხედავად პანდემიით შექმნილი საყოველთაო დამაბრკოლებელი გარემოებისა, სენაკის მუნიციპალიტეტში, საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-რეაბილიტაციის პროცესი ქალაქად და სოფლად, აქტიურ რეჟიმში გრძელდება.

ამ ეტაპზე საავტომობილო გზის ინტენსიური სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი დასრულებულია სოფელ მეორე ნოსირის საბარკალაიოს უბანში. პროექტის ღირებულება 315 668 ლარს შეადგენს; ამ პროექტის 2021 წელს შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებაა - 268 703 ლარი, 2022 წლის - 46 965 ლარი;

მუნიციპალიტეტის მასშტაბით ასევე მიმდინარეობს მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული შემდეგი პროექტები:

ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის კეთილმოწყობა და საბავშვო ბაღამდე გზის ასფალტირება; ზემო სორტის უბნის ასფალტირება;

ნაფეტვარიძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის ქუჩაზე - სამხატვრო გალერეადან ხორავას ქუჩამდე და ხორავას ქუჩის რეაბილიტაცია;

ბელიაშვილის ქუჩაზე; კანკიას ქუჩის პირველი შესახვევში - გზის ასფალტირების სამუშაოები;

თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში - რკინიგზის გასწვრივ - საავტომობილო გზის ასფალტირება;

მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, მენჯი-სახარბედიოს დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;

თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულიდან მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბათარიასკენ მიმავალი გზის ასფალტირება;

სამუშაოებს სს „არქეოპოლისი" აწარმოებს.

დასუფთავების კამპანია

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დასუფთავების კამპანიაში „ლურჯი ნაკადული", სენაკის მუნიციპალიტეტიც ჩაერთო.

დასუფთავდა რამდენიმე ლოკაცია: მდინარე ტეხურის სანაპირო - ახალსოფლისა და ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ბუნებრივი წყაროს მიმდებარე ტერიტორია - მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში და თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის მონაკვეთი - ნოსირისა და თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

დასუფთავების აქციაში სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, ადგილობრივი თვითმმართველობის, საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის წარმომადგენლებთან და ეკო-კლუბის წევრებთან ერთად, ჩაერთო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე 1993 წლიდან აღინიშნება.

ყოველწლიურად, 22 მარტს, „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები-საქართველო" კამპანია „ლურჯი ნაკადულის" ფარგლებში, მუნიციპალიტეტების ჩართულობით, გარემოსდაცვით აქტივობებს მართავენ.

გამწვანების აქცია

სენაკში, კლიმატის ცვლილების კვირეულის ფარგლებში, გამწვანების აქცია გაიმართა.

თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის მეშვიდე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, დირექციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სკოლის ტერიტორიაზე, 120 ძირი წიწვოვანი და კაკლის ნერგები დარგეს.

გარემოს დაცვით აქტივობას წინ უსწრებდა კლიმატის ცვლილების კვირეული, რომელიც სენაკში, პროექტის - „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ეროვნული კლიმატის პოლიტიკის განხორციელების"ფარგლებში გაიმართა.

კვირეულის ფარგლებში, ჩატარდა პრეზენტაცია - „კლიმატის ცვლილებების გავლენა COVID 19-სა და ტურიზმზე"; გაიმართა დისკუსია თემებზე: კლიმატის ცვლილებები და საქართველო, ხელისუფლებისა და საზოგადოების როლი კლიმატის ცვლილებების შერბილებასა და ადაპტაციაში; დაიგეგმა გამწვანების აქციები შემოდგომასა და გაზაფხულზე; პირველ ეტაპზე დაირგო 70 ძირი ნერგი.

კლიმატის ცვლილების კვირეულის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებს სენაკში, მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ორგანიზებას გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია „დეა", უწევდა.

„კლიმატის კვირეული", საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები საქართველოს მიერ, 2009 წლიდან, სხვადასხვა აქტივობებით აღინიშნება.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

საქართველო მარად იამაყებს თქვენი სახელებით

7 მარტს საქართველოს ეროვნულ გმირს, სენაკის გამორჩეულ შვილს, სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილს ბატონი ჟიული შარტავას 77 წელი შეუსრულდებოდა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, შემუშავებული გეგმის შესაბამისად, სენაკის ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა, კულტურის მუშაკებმა, აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახების ახლობლებმა, წუთიერი დუმილით პატივი მივაგეთ გმირის ხსოვნა. გავიხსენეთ შარტავების ოჯახის გარდაცვლილი წევრები, სენაკის კოლორიტები: ქალბატონი ფენია, ბატონები კალისტრატე და სოსო. მოვიგონეთ ჩვენი თანაქალაქელები, აწ გარდაცვლილები: გენო ადამია, გურამ გაბესკირია, ლევან ჭუბაბრია, ნოდარ კანკია, რობერტ სანიკიძე და ლინა ეჯიბია. დასახელებულთაგან გენო, გურამი და ლევანიც მარტის თვეში იყვნენ დაბადებულები. 2 მარტს გურამ გაბესკირიას 74 წელი შეუსრულდებოდა, 8 მარტს გენო ადამია-85, ხოლო 47 წლის გახდებოდა ლევან ჭუბაბრია.

შეკრებილებმა ყვავილებით შევამკეთ ქალაქის ცენტრში ჟიული შარტავას, აფხაზეთის ომში დაღუპულთა სკვერში-გენო ადამია, გურამ გაბესკირიასა და ნოდარ კანკიას ბიუსტები. პატივი მივაგეთ გმირებს, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე, ქვეყნის ერთიანობის დაცვას შესწირეს და მომავალ თაობას მამულიშვილობის წარუშლელი მაგალითები დაუტოვეს.

სენაკის იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძარში ჟიული შარტავასა და აფხაზეთის ომში დაღუპულთა პატივმიგების მიზნით დავესწარით დეკანოზ იოანე კუპრეიშვილის მიერ აღვლენილ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად აფხაზეთში დაცემულ პირთა სულების მოსახსენიებელ პანაშვიდს.

ქალბატონებმა ცისანა შარტავამ და Lლეილა გაბესკირიამ მადლობა გადაგვიხადეს მუზეუმის თანამშრომლებს თბილი მოგონებისათვის.

მარინა აბრამია

"ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთ
რწმენაა!
ღმერთია,
ბედისწერაა
ზღვა როა,
იმოდენაა "
მუხრან მაჭავარიანი

აი ია - სამყაროს გასაღები ჯადოსნური ბგერები

ნომრის სტუმარია სენაკის №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი სალომე შურღაია. სალომემ 2009 წელს დაამთავრა სენაკის პირველი საჯარო სკოლა. შემდეგ ჩაირიცხა ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე, 2009 წელს დაამთავრა აღნიშნული ფაკულტეტი დაწყებითი კლასების მასწავლებლის სპეციალობით. ამავე წელს დაიწყო მუშაობა სენაკის კერძო სკოლა ლიცეუმში, 2014 წელს მიიღო უფროსი მასწავლებლის წოდება, 2017 წლიდან მუშაობს სენაკის გენო ადამიას სახელობის პირველ საჯარო სკოლაში. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული მასწავლებელი გამოირჩევა მოსწავლეების სულში წვდომის შესანიშნავი უნარით.

ჩვენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ ქალბატონ სალომეს. ჩვენი კითხვები ძირითადად სწავლა -აღზრდის მეთოდებს და მოსწავლეებში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსისადმი პატივისცემის გრძნობის გამომუშავებას ეხება.

გთავაზობთ ინტერვიუს.

ქალბატონო სალომე, უპირველესად მინდა გისურვოთ წარმატებები და მოგმართოთ კითხვით, თქვენი თაობის ახალგაზრდების უმრავლესობა, ნაკლებად ირჩევს პროფესიად დაწყებითი კლასის პედაგოგობას (ჩემი აზრით ეს ყველაზე მეტად სჭირდება საგანმანათლებლო სფეროს), რამ განაპირობა თქვენი პროფესიული არჩევანი?

დიდი მადლობა, ვფიქრობ, დედამ განაპირობა ჩემი არჩევანი, ბავშვობიდანვე ვხედავდი, ვგრძნობდი ამ პროფესიის მადლს, სიყვარულს იმასაც ვაცნობიერებდი, რომ დიდი პასუხისმგებლობისა და შრომის გარეშე ვერ შევძლებდი ყველაზე მნიშვნელოვანი მისიის აღსრულებას. მართალი გითხრათ, როცა დედა (ნინო კვარაცხელია) წარმატებული,თითეული მოსწავლისთვის საყვარელი მასწავლებელი გყავს, ორმაგდება პასუხისმგებლობა, მით უმეტეს, თუ დაწყებით კლასს ასწავლი. ამ პროფესიისადმი სიყვარული კიდევ უფრო გააღრმავა სკოლაში - ქართულის მასწავლებელმა ნატო მორგოშიამ და უნივერსტიტეტში ბატონმა ვაჟა დანელიამ.

ალბათ დამეთანხმებით, რომ მშობლიური ენის სწავლებისას დიდი მნიშვნელობა აქვს მოტივაციას, რას აკეთებთ იმისათვის, რომ მოსწავლეებს მშობლიური ენის სიყვარული გაუღვივოთ?

სწავლა -სწავლების რთულ პროცესში უმნიშვნელოვანესია განწყობა, თუ ბავშვს არა აქვს მოტივაცია, ყოველი ცდა ასწავლო,უშედეგო იქნება. სწავლა-მოტივაციის გარეშე ჰგავს ფრენას ფრთების გარეშე.

ბავშვის ბუნებრივი მდგომარეობა თამაშია, ყოველი აქტივობა, რომელსაც ვგეგმავ ეფუძნება თამაშით სწავლებას. მაგალითად აუდიოჩანაწერის მოსმენა, ნაცნობი ზღაპრის გმირები არასწორად წარმოთქვამენ სიტყვებს შემდეგ წინადადებებს, მოსწავლეები ხალისით ასწორებენ და ასე თამაშთამაშით სწავლობენ მართლ მეტყველებასა და მართლწერას.

სასკოლო სახელმძღვანელოებთან ერთად რა სახის თვალსაჩინოებებს და დიდაქტიკურ მასალებს იყენებთ ქართული ენის სწავლებაში?

დაწყებით კლასში მშობლიური ენის სწავლება ასო-ბგერებით იწყება,როცა სამყაროს გასაღებ ჯადოსნურ ბგერებს - აი იას ამოვქარგავთ მოზარდის სულში და

ვიწყებთ თითოეული ბგერის წარმოთქმაზე თუ წერაზე მუშაობას, სასკოლო სახელმძღვანელოს გარდა, ვიყენებთ დაწყებითი განათლების პროექტის „j praidis" წერისა და თუ კითხვის მრავალფეროვან სტრატეგიებს, მეთოდებს: "დაფიქრდი-დაწყვილდი-გაუზიარე" ურთიერთსწავლება, დაამყარე კავშირი, პერსონაჟის რუკა. ასევე საკუთარი ხელით შექმნილ რესურსებს მიზნიდან გამომდინარე.

14 აპრილი ქართული ენის დღეა, როგორ აღნიშნავთ კლასში ამ მეტად მნიშვნელოვან თარიღს, რაც ხელს შეუწყობს ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის განმტკიცებას?

14 აპრილი თითოეულ კლასში გამორჩეულად აღენიშნება. ამ დღეს „არამარტო ამ დღეს" განსაკუთრებით ვეფერებით მრავალჭირვარამგადანახად, უნატიფეს, ღვთიურ ენას ლექსებით, სიმღერებითა და ცეკვებით. მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებიან ხელწერაში," გამოვცემთ" კედლის გაზეთს, ერთმანეთის რვეულებიდან ამოკრებილ შეცდომებს ვასწორებთ და სწორი ფორმები მართლ წერის დაფაზე გადმოგვაქვს, იაკობ გოგებაშვილის მოთხრობების მიხედვით ვდგამთ სპექტაკლს.

თქვენი აზრით, ქართულ ენას, როგორც ცოცხალ ორგანიზმს სჭირდება თუ არა მუდმივი ზრუნვა, მუდმივი დაცვა და მუდმივი მოვლა-პატრონობა?

ამ კითხვაზე დიდი ქართველის სიტყვებით ვუპასუხებ „მშობლიური ენის სიწმინდის დაცვა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორიც ხმლით დაცვა საკუთარი მამულისა". ენას, დიახაც, მოვლა-პატრონობა, დაცვა სჭირდება," მას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს."

იმისთვის რომ ბავშვს დაწყებითი კლასიდანვე განუვითარდეს მართლმეტყველებისა და მართლწერის უნარები, ვიყენებთ შემდეგ აქტივობებს: „ტყუილი თუ მართალი"," ვინც შეცდომებს გამოიცნობს, ის იქნება ყოჩაღი", "იყავი მასწავლებელი". კლასში გვაქვს გაკეთებული „ჯანსაღი ტყე". ხეებზე დამაგრებულია სიტყვები. ბავშვმა უნდა მოიფიქროს ამ სიტყვების შესაბამისი სინონიმები, ანტონიმები, რითმები. ზოგჯერ ტყე „ავად ხდება" ამის მიზეზი ბარბარიზმებია, ბავშვებმა უნდა „განკურნონ" ტყე, მოაშორონ ბარბარიზმები და შეცვალონ სწორი შესატყვისით.

თუ თითოეულმა, მოსწავლეს დაწყებითი საფეხურიდანვე არ ჩაუნერგეთ მშობლიური ენის პატივისცემა, სიყვარული, არ განვუვითარეთ მოვლა-პატრონობის უნარი და შემდეგ იგივე დამოკიდებულება არ გაგრძელდა მაღალ კლასებში შრომა ფუჭად ჩაივლის, მეტიც მშობლიური ენის მოვლა -პატრონობა სახელმწიფოს მოვალეობაა და სასურველი შედეგი მაშინ მიიღწევა, როცა სკოლა, ოჯახი და საზოგადოება მიზანმიმართულად მოქმედებს სასურველი შედეგისთვის.

რაც უფრო ჩავუღრმავდებით სწავლა-სწავლების პროცესს, მით უფრო დავინახავთ იმ მიზეზ-შედეგობრიობის ჯაჭვს, რომელსაც პრობლემის სახით ვაწყდებით, ასე რომ, სწავლება მუდმივი ფიქრის, განახლების პროცესია და ბედნიერებაა, როცა ამ პროცესის მონაწილე ხარ.

P.S. წარმატებებს ვუსურვებთ ნოვატორ პედაგოგს და მის მოსწავლეებს. ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეთ.

მოამზადა მედეა ბაღათურიამ

დედა ენა – უმნიშვნელოვანესი და წმინდა

ქართული ენა არის ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელი, ვითარცა გონება და სიყვარული. მისი სათავე ისევე უცნობია, როგორც მელქისედეკ მამამთავრისა. მასშია მთელი საქართველო. გაზაფხულზე გაშლილი ვარდივით მშვნიერია იგი და ახლად-ამოსული მზის ცხოველისმყოფელი სხივივით საამაო. ცისფერია მისი სამოსი, ზეცაა მისი საწყისი, უფალია მისი მშობელი და მფარველი. სიტყვა მისი მჭრელია, ვითარცა დავით აღმაშენებლის ხმალი, ძლიერია, როგორც სვეტი ცხოველი და ნაზი ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდული დილის ნამი.

ილია II სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

საბედნიეროდ ქართული ლიტერატურა მდიდარია მხატვრული თუ არამხატვრული ნაწარმოებებით, რომლებმაც საუკუნეებს გაუძლეს, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში „დედა ენა" ერთადერთი წიგნია, რომელსაც ხალხმა ძეგლი დაუდგა. ელგუჯა ამაშუკელისა და ნოდარ მგალობლიშვლის ეს გენიალური ქანდაკება ნათლად ასახავს მეცხრამეტე საუკუნეში "წერა-კითხვის გამავრცელებელთა" მიზანს და იდეას. 38 წლის წინ 1978 წელს, თბილსის ქუჩებში მოზღვავებული, აბობოქრებული მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა, ხელოვნების, ლიტერატურის, ინტელიგენციის საღად მოაზროვნე ნაწილი, ქართული ენის მოსიყვარულე და დამცველი დიდი თუ პატარა, მზად იყვნენ სიცოცხლის ფასად ქართული ენის სტატუსი შეენარჩუნებინათ. პროტესტი იმდენად დიდი იყო, რომ მაშინდელმა საბჭოთა მთავრობამ უკან დაიხია და ქართულ ენას შეუნარჩუნდა სახელმწიფო ენის სტატუსი. ეს იყო აბუჩად აგდების, დაწიხლვის, შეურცხყოფის მცდელობა, რომელიც საბედნიეროდ ქართველი ხალხის გამარჯვებით დამთავრდა. 1990 წლის 14 აპრილიდან კი ეს დღე „დედა ენის" დღედ აღინიშნება.

დედა ენა, მშობლიური ენა თვით სიტყვაც კი მიგვანიშნებს, რაოდენ მნიშვნელოვანია გამართულად და სწორხაზოვნად ვასწავლოთ მომავალ თაობას ქართულ ენაზე წერა-კითხვა.

სწორედ ამ თემასთან დაკავშირებით ჩვენი ნომრის სტუმარი არის კერძო სკოლა „პელაგონის" ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ქალბატონი ნინო ფრანგიშვილი.

ქალბატონო ნინო, 14 აპრილი დედა ენის დღეა. თქვენ როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, რას აკეთებთ ქართული ენის სიწმინდის დასაცავად?

ჩემი აზრით ქართული ენის დაცვას ერთი კონკრეტული დღე არ სჭირდება, ეს დღე უბრალოდ პატივისცემის გამოხატვაა, მუხლმოდრეკაა ენის მიმართ რადგანაც „ენა ისეთი ქართული როა, მიწაში კია, მაგრამ მიწაზე? – ალბათ დამეთანხმებით, არა, ამიტომაც უნდა ვეცადოთ ეს ენა არ დაიმარხოს. მე ჩემის მხრივ ვცდილობ, ჩემს მოსწავლეებს გავუმდიდრო ლექსიკა, დავიწყებას არ მივცეთ მივიწყებული სიტყვები, გამოვიყენოთ და გავაცოცხლოთ ისინი, თითოეული სიტყვა ხომ ქმნის ქართულ ენას, ენა კი სახელმწიფოს.

თქვენი საგანმანათლებლო პრაქტიკის მანძილზე რა ღონისძიებები მიუძღვენით ქართული ენის დღეს?

მე როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ჩემი საგანმანათლებლო პრაქტიკის მანძილზე არაერთი ღონისძიება მივუძღვენი ქართული ენის დღეს. რათქმაუნდა თითოეულ ღონისძიებაში ვიხარჯებოდი და ვაკეთებდი მაქსიმუმს. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩემი მოსწავლეების გვერდში დგომით და მონდომებით ყოველი ღონისძიება გამოდიოდა საკმაოდ კარგი და განსხვავებული. რთულია რომელიმე გამოვყო, მაგრამ გონებაში ამომიტივტივდა და სასიამოვნოდ მახსენდება ერთ მათგანი „ცარიელი კედლის გზეთი", სადაც მოსწავლეებს უნდა ჩაეწერათ სლოგანი, რას უსურვებდნენ ქართულ ენას. ერთ-ერთი მათგანი ასე ჟღერდა: შენს „ბრატს" — ძმა მირჩევნია!

ტელეეთერებში და მედიასაშუალებებში ხშირად ვხვდებით ქართული სალიტერატურო ენის დამახინჯების ფაქტებს. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?

ჩემი აზრით, ყველაზე მტკივნეულ საკითხს მივადექით. საუბედუროდ უკვე რამდენიმე ათეული წელია ეს ტენდენცია დამკვიდრდა, როგორც ჟურნალისტიკაში ასევე უბრალოდ მეტყველებაში. ვივიწყებთ ჩვენს მშობლიურს და შემოგვაქვს სხვისი. თითქოს ჩვენს სჯობდეს. არ მინდა მკითხველმა არასწორად გამიგოს. მე მომხრე ვარ ყოველგვარი განვითარების. საუკუნეები გადის განვითარების გზები სწრაფად მიიწევს, ამას მივესალმები, მაგრამ ჩვენს მშობლიურ ენას, რომელსაც უმდიდრესი და მრავალფეროვანი ლექსიკა გააჩნია სხვა „განვითარება" არ სჭირდება. ქართული ენის დამახინჯება ენის მტრობაა. ის რაც მტერმა ძალით ვერ მოახერხა, ჩვენი ნებით ვაკეთებთ.

ბავშვებს ხშირად ვაძლევ დავალებებს. დააკვირდნენ ჟურნალისტების გამოსვლებს, ამოწერონ არასწორი ფორმები და შეასწორონ ისინი... და ჰოი! საკვირველებავ და სირცხვილო... ხანდახან ისეთ რამეს წავაწყდებით, მართლაც, რომ გაოგნებული ვრჩებით. სწორედ ასე ვცდილობ ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანო და მომავალ თაობას გავუღვივო პატივსცემა ჩვენი ენისადმი.

რას ფიქრობთ ქართული ენის სკოლებში სწავლებაზე, რამდენადაა ის დრო საკმარისი, რაც დათმობილი აქვს. რაზე უნდა გააკეთოს აქცენტი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა. რამდენად ახერხებთ ლიტერატურული მასალის შესწავლასთან ერთად გრამატიკულ ნორმებზე ყურადღების გამახვილებას?

მადლობა უფალს, რომ მშობლურ ენასა და ლიტერატურას სკოლებში საკმარისი დრო აქვს დათმობილი. ჩვენ მასწავლებლებს თავისუფლად შეგვიძლია მხატვრულ კითხვასაც დავუთმოთ დამატებითი საათი. ვფიქრობ, რომ ეს მოზარდის განტვირთვისა და „სულის შევსებისათვის" საუკეთესო საშუალებაა.

რაც შეეხება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში აქცენტის გაკეთებას... უდაოა, რომ ერთნაირად მნიშვნელოვანია, როგორც ლიტერატურა ისვე გრამატიკა. ჩემს საგანმანათლებლო პრაქტიკაში მაქვს ჩემეული მეთოდებიც და შემიძლია ვთქვა, რომ საკმაოდ წარმატებულიც. შეუძლებელია ბავშვს ასწავლო ლიტერატურა და არ ასწავლო მართლწერა, სწორად მეტყველება, ან პირიქით. მაგალითად, მე ლიტერატურული მასალის ახსნის შემდეგ, რამდენიმე საგაკვეთილო პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ მეოთხე დღეს. ვაჯამებთ მასალას და ვიწყებთ სალიტერატურო ენის წესებზე მუშაობას. ასევე ნასწავლი ტექსტიდან ვწერთ ე.წ. „დარღვევებს", რადგან ბავშვს წარმოდგენა ჰქონდეს მისაღებ და მიუღებელ ფორმებზე.

კიდევ ერთხელ შემიძლია თამამად ვთქვა, რომ დღეს ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებულ სწავლებას სულაც არ ჰქონია მიზნად გრამატიკის განდევნა. პირიქით, გრამატიკა უნდა ვასწავლოთ ლიტერატურულ ტექსტებთან მიმართებით.

თქვენი აზრით კარგი მასწავლებელი რა კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს. რა პასუხისმგებლობაა თქვენთვის მასწავლებლობა?

ძალიან დიდხანს შემიძლია ვისაუბრო ამ კითხვის შესახებ, მაგრამ შევეცდები მოკლედ გიპასუხოთ. მასწავლებლობა არის უზარმაზარი პასუხისმგებლობა. პედაგოგი ვალდებულია იყოს პირველ რიგში ადამიანი, რომელიც მაგალითის მიმცემი იქნება მოზარდისთვის. ჩვენ, მასწავლებლებს არ გვაქვს უფლება ვთქვათ „დავიღალე და არ შემიძლია". ჩვენი თითოეული სიტყვა, თითოეული ნაბიჯი აისახება ბავშვის ფსიქიკასა და განვითარებაზე. მასწავლებლობა ჩემთვის მხოლოდ პროფესია არ არის, რადგანაც მე ვაყალიბებ ბავშვის სულიერ სამყაროს. სწორედ ამიტომ ვგრძნობ უდიდეს პასუხისმგებლობას და ვცდილობ განსაკუთრებთ ფრთხილი და წინდახედული ვიყო მათთან ურთიერთობაში.

კარგი მასწავლებელი ჩემი აზრით უნდა აკმაყოფლებდეს ყველა ადამიანურ კრიტერიუმს, ამათგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კი სიყვარულია. დანარჩენი სწორედ აქედან მოდის. ჩვენ გარკვეულწილად უნდა ვიყოთ ფსიქოლოგებიც უნდა შეგვეძლოს ბავშვის სულიერი მდგომარეობის განსზღვრა. შეუძლებელია ამის გარეშე გვერქვას პედაგოგი. მე პირადად მჯერა, რომ ყველა ბავშვში არის მზე, ჩვენი მიზანი კი მისი ანთებაა.

და ბოლოს... ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა, არა როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, არამედ უბრალოდ, როგორც ქართველმა, ქართული ენის ქომაგმა და მოყვარულმა.

„ენა დედაა ერისა"... ეს სიტყვები ყოველი ქართველისთვის კარგად ნაცნობი და საამაყოა. საამაყოა, რადგანაც ქართული ენის სიყვარულმა, მისი დაცვისათვის ბრძოლამ მოიყვანა ქართული სული დღევანდელ დღემდე. ქართული ენა ღვთის ენააო ნათქვამია, რადგან იგი კურთხეულია ბიბლიაში. „და ენაი ესე, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა".

ჰოდა, გავუფრთხილდეთ ჩვენს სათაყვანებელ მშობლიურ ენას!

ყველას გილოცავთ „დედა ენის" დღეს. ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და წმინდაა, რაც შემოგვინახა ჩვენმა წინაპრებმა.

მოამზადა
მარიკა მიქაბერიძემ

„ქართველ ხალხთა სიმდიდრე, სიდიადე, „ხელის-ხელ საგოგმანები - დედა ენა“

„მხოლოდ დედა ენა არის ენა სულისა და გულისა, ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მეხსიერებისა... მხოლოდ დედაენაზე შეიძლება ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ.”

იაკობ გოგებაშვილი
(1840 / 1912 წლები)

დედა ენის შემქმნელი და სულის ჩამდგმელი იაკობ გოგებაშვილი გახლავთ. ის არ იშურებდა სახსრებს ხალხის განათლებისათვის. ღარიბ მოსწავლეებს დახმარებას უწევდა და წარჩინებულ ადამიანებს ეხმარებოდა. ქართული ენის სახელმძღვანელომ არა ერთი ღირსეული მამულიშვილი აღზარდა და აღზრდის. გამოცემის თარიღად 1876 წელი სახელდება. ცნობილია, რომ 1906 წლიდან „დედა ენა” გამოიცა 2 წიგნად: პირველ წიგნში გადმოცემულია წერა-კითხვის შესასწავლი მასალა, მეორე წიგნში კი მოთავსებულია: მხატვრული თხზულებები, ხალხური შემოქმედების შესანიშნავი ნიმუშები, საბუნებისმეტყველო, ისტორიული, ეთნოგრაფიული შინაარსის სტატიები. გოგებაშვილის მოთხრობებში დიდაქტიკური ელემენტები მხატვრულად ერწყმის რეალიზმს და შესანიშნავ სინთეზს ქმნის. აღსანიშნავია, ავტორის სიცოცხლეში 33-ჯერ გამოიცა, მისი გარდაცვალების შემდეგ, სახელმძღვანელოს გამოცემა სპეციალური კომისიის ვალდებულებაში გადავიდა, რომელსაც ლ. ბოცვაძე ხელმძღვანელობდა.

ი. გოგებაშვილის „დედა ენის” მიხედვით ნ. ბოცავიძისა და ე. ბურჯანაძის „დედა ენა” დაიწერა (2 წიგნად) პირველი და მეორე კლასის აღსაზრდელებისათვის და 1944 წლიდან აქტიურად გამოდის. ასევე შეიქმნა ვ. რამიშვილის მიერ მოსამზადებელი კლასის „დედა ენა”.

1976 წელს „დედა ენის” 100 წლისთავი საზეიმოდ აღინიშნა. დაისტამბა 1876 და 1912 წლების გამოცემები, ხოლო 1994 წელს რუსთაველის თეატრში „დედა ენის” მოტივზე შექმნილი სპექტაკლი „იაკობის სახარება” დაიდგა, რობერტ სტურუას რეჟისორობით.

მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტია 2019 წელს მიღებული გადაწყვეტილება. საქართველოს IX მოწვევის პარლამენტმა საგანმანათლებლო პროცესში დააბრუნა იაკობ გოგებაშვილის უკვდავი „დედა ენა”.

მოგეხსენებათ საქართველოს ძალზედ დიდი, საინტერესო და ყოვლისმომცველი ისტორია აქვს. უხსოვარი დროიდან, მრავალი ბრძოლა და ომი გადახდენია ქართველ მოსახლეობას, ,მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილი ერი კვლავაც იმაგრებდა ფეხს და ახალი ძალებითა და შემართებით მიიწევდა მომავლის გაბრწყინებისაკენ. ქართული ენის ისტორიამ მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტები შემოგვინახა. მათ შორის ერთ-ერთი 1978 წლის 14 აპრილია. საქართველოს მოსახლეობამ მასობრივი გამოსვლა მოაწყო, რითაც ფარივით აღუდგა საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას, რომელიც საქართველოში ქართული ენის, სახელმწიფო ენის გაუქმებით იყო გაჟღენთილი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რუსთაველის გამზირისაკენ 15 000-მდე ადამიანი მიემართებოდა საკუთარი თავისუფლების, ღირსების დასაცავად. სტუდენტებსა და ინტელიგენტ საზოგადოებას, სხვა მოქალაქენიც შეუერთდენ და გაერთიანებული ძალებით, აწ უკვე 100 000 ადამიანით წარსდგნენ რუსთაველის გამზირზე. ამაღელვებელმა და ღირსეულმა ნაბიჯმა, წარმოუდგენელი რამ შეძლო. საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირველად, კომუნისტურმა რეჟიმმა, იდეოლოგიამ, უკან გადადგა ნაბიჯი, უკან დაიხიეს! - ქართველ ხალხთა მომავალი, ქართული სახელწიფო ენა გადარჩა. უფრო ძლიერად და მყარად გაიდგა ფესვები საქართველოს მიწა-წყალზე. რა თქმა უნდა, 14 აპრილი ქართველი ხალხისათვის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი დღეა - „დ ე დ ა ე ნ ი ს” დღე. ქართველმა ხალხმა დაიცვა ენა სულისა და გულისა, ენა ლოცვისა და ღირსებისა.

გრიგოლ ორბელიანი: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას”.

ახლა კი მსურს ორიოდე სიტყვით ქართული დამწერლობის წარმოშობაზე გესაუბროთ. მეცნიერთა შორის დღემდე დავის საგნად რჩება. სამწუხაროდ ერთიანი მოსაზრება ვერ ყალიბდება ანბანის შემქმნელსა და შექმნის თარიღთან დაკავშირებით. ეს საკითხი ძველი დროიდან აქტუალურია და მრავალი ცნობა მოგვეპოვება, როგორც ქართულ, ასევე სხვა ენის წერილობით წყაროებში. ქართულ საისტორიო მწერლობაში არსებული ცნობის თანახმად, მწიგნობრობა ქართლის პირველ მეფეს, ფარნავაზს (ძვ.წ IV-III საუკუნის I ნახევარი) შეუქმნია. ეს მოსაზრება ისტორიკოსს ლეონტი მროველს ეკუთვნის. საყურადღებოა, რომ დაახლოებით 700 წლის განმავლობაში, არავითარი ეჭვი არ შეუტანია არვის. ისტორიკოსი ქართლის ლეგენდარული დამაარსებლის, ფარნავაზის ცხოვრების აღწერისას წერს: - „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან

განავრცო ენაი ქართული და არღარა იძრახებოდა სხუაი ენაი ქართსა შინა თუინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობაი ქართული”.

ჩემო მკითხველო, მინდა გითხრათ, რომ დაუდგენელია საიდან მოიპოვა ეს ცნობა ლეონტი მროველმა. როგორ ფიქრობთ, თავად შეთხზა, თუ ჩვენთვის დღემდე უცნობი წყაროთი იხელმძღვანელა?!

თავად ივანე ჯავახიშვილი წერდა, რომ ძნელი სათქმელია, არსებობდა თუ არა სხვა ცნობა, მაშინ როდესაც უძველეს ქართულ მემატიანეში „მოქცევაი ქართლისაი”-ში ქართული მწიგნობრობის არც შემქმნელსა და არც დასაწყისზეა საუბარი. მართალია, ივანე ჯავახიშვილი იზიარებდა და ემხრობოდა ქართული ანბანის წინაქრისტიანულ ხანაში შექმნის თვალსაზრისს, (შექმნის დროდ ძვ. წ VII საუკუნეს ასახელებდა) მაგრამ, ლეონტი მროველის მოსაზრება ეჭვ ქვეშ დააყენა. „მხოლოდ ის გარემოებაა საყურადღებო, რომ XI საუკუნის ქართველ ისტორიკოსს ქართული ანბანი ქრისტეს წინადროინდელ აღმოჩენად ჰქონდა წარმოდგენილი, ძველისძველად მიაჩნდა და სხვებივით ქრისტიანობის შენაძენად არ სთვლიდა. იქნებ მომავალმა გამოარკვიოს, ჰქონდა თუ არა ლეონტი მროველს ამისთვის რაიმე საფუძვლიანი წყაროები ან ისტორიული ზეპირგადმოცემა”. წერდა მის ცნობილ ნაშრომში - „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია”.

ასევე მოგვეპოვება მეორე ცნობა, რომელსაც V საუკუნის სომეხი ისტორიკოსები, კორიუნი „მაშტოცის ცხოვრება და მოღვაწეობა” და მოვსეს ხორენაცი გვაწვდიან. მესროპ მაშტოცი სომეხი მოღვაწე გახლდათ, IV-Vს-ში. კორიუნის თანახმად, სომხური დამწერლობა არასაკმარისად გადმოსცემდა სომხურის ყველა ფონემას და თავიდან წამოუწყიათ ანბანზე ზრუნვა მესროპსა და კათალიკოს არსენს. აქვე, მაშტოცს ქართული დამწერლობის შექმნისთვისაც მოუკიდია ხელი და ქართული გრაფემები მოუხაზავს. ქართველთა მეფის წინაშე წარსდგომის შემდგომ, მეფეს ბავშვების მიბარება უბრძანებია, რათა ლიტერატურულ ხელოვნებას ჩაჰყროდა საფუძველი მაშტოცის ხელმძღვანელობით. ივანე ჯავახიშვილის თავდაუზოგავი შრომისა და კველვის შედეგად, დამტკიცდა, რომ კორიუნის მოსაზრება VI საუკუნეშია ჩამატებული. მოსაზრება გაბათილდა, რა საკვირველია. ივანე ჯავახიშვილმა დეტალურად შეისწავლა ქართული და სომხური ანბანის მოხაზულობა და დაადგინა, რომ ძირეული განსვავება არსებობდა და შეუძლებელი იყო ერთ ადამიანს შეექმნა.

ანბანის წარმომავლობის ასევე ორი თეორია არსებობს: ბერძნული და სემური. ბერძნულ ანბანთან გენეზისურ კავშირზე საუბარი გერმანელმა პალეოგრაფმა ვიქტორ გარდტჰაუზენმა გამოთქვა, მოგვიანებით კი გამოჩენილი ქართველი მეცნიერებიც იზიარებდნენ ამ მოსაზრებას. ქართული ანბანის ფონეტიკური მნიშვნელობა და თანმიმდევრობა, ძალზედ მიმსგავსებულია ბერძნულთან. ამ მოსაზრებას ეთანხმებოდა კორნელი კეკელიძე და რამდენიმე არგუმენტს იშველიებდა: წერის მიმართულება ემთხვევა, ორივე მარცხნიდან მარჯვნივ მიემართება; როგორც ბერძნულში, ასევე ქარულშიც ხმოვნის აღმნიშვნელი ასოები გამოიყოფა; ქართული ანბანი იმეორებს ბერძნული ანბანის წყობას ანიდან ქანის ჩათვლით, გამონაკლისია ჟანი და იოტა; ქართულ და ბერძნულ ასოთა რიცხვითი მნიშვნელობებიც მეტწილად ემთხვევა; ზოგიერთ ასოთა მოხაზულობა მსგავსია;

ასევე იშველიებდა იმ ერთ-ერთ არგუმენტს, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ ქართულ ენაში წერასთან დაკავშირებული ტერმინები ბერძნულიდანაა ნასესხები: კალამი, მელანი, ეტრატი, წიგნი...

ფინიკიურობის, სემური თეორიის თანახმად, თავად ბერძნულიცა და ქართულიც ფინიკიურისაგან წარმოიშვა. აქედან გამომდინარე, ქართული დამწერლობა ქრისტიანობამდელ ეპოქაში შექმნილა. სემურიდან წარმოშობის საკითხი გერმანელა მეცნიერმა ფრიდრიხ მიულერმა წამოაყენა. სემური თეორია მეცნიერულ საფუძველზე განმარტა ივ. ჯავახიშვილმა. დიდმა მეცნიერმა გააკრიტიკა ქართული ანბანის ბერძნულისაგან მომდინარეობის საკითხი. მისი თქმით, ქართული ანბანი გახლავთ წარმართული ეპოქის ძეგლი და ფინიკიურ-სემიტურის (არამეულის) ბაზაზეა შექმნილი, რომელსაც ელინისტურ ხანაში, ბერძნული მონუმენტური დამწერლობის გავლენა განუცდია. არმაზის ბილინგვა, რომელიც ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა 1940 წელს, ფასეული გამოკვლევა აღმოჩდა. ის ორ ენაზე, ბერძნულად და არამეულად არის შესრულებული, რომელიც გიორგი წერეთელმა შეისწავლა, „არმაზული დარმწერლობა” უწოდა არამეულის ამ სახეობას და დაადგინა, რომ ქართული ანბანი არმაზულის მონათესავეა და ისინი არამეულიდან მომდინარეობენ. მეცნიერთა აზრით, ქართული დამწერლობა წარმართულ ხანაშია შექმნილი, თვით ბერძნულ კლასიკურ ანბანზე ბევრად ადრე. მასში ბევრი ასო დამოუკიდებელია და არ ამჟღავნებს მსგავსებას სხვა ანბანთან.

ქართული ენა მიეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველურ ენათა ჯგუფს. დღემდე მოწოდების სიმაღლეზეა მსოფლიოში და ეს საამაყოა ყველასათვის, ქართულ ენაზე მოსაუბრე ქართველებისათვის. განვითარების კუთხით გამოიყოფა ძველი და ახალი ქართული... რაოდენ წმინდა და აღმატებულ ენაზე მოლაპარაკენი ვართ!!! შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის” კითხვისას ის ქართველობა მიფორიაქებს სულს, რაც მხოლოდ ქართველთა ხვედრია. თითქოს ქართული სიტყვები, საუკუნოვანი ისტორია გულის ფიცარზე იტვიფრება სამუდამოდ. ესაა ენა ღმერთთან ღაღადისა. საქართველო ხომ ტაძარია, მშობლიურ ენაზე მგალობელ გუნდთა დიადი ტაძარი. მე ამაყი ვარ რომ ვარ პატარა ნაპერწკალი იმ საუნჯისა, რასაც ქართველი და ქართველობა ჰქვია.

„მე ამაყი ვარ რომ მქვია კოლხი
და გამაჩნია სამშობლო წმინდა,
დალოცვილია ერი ქართლის და
მადიდებელი დედა ენისა!!!”

ძვირფასო მკითხველო, მინდა მოგილოცოთ ეს უძვირფასესი, ეროვნული დღე და გისურვოთ გამთლიანებულ, გაძლიერებულ, გაბრწყინებულ საქართველოში ცხოვრება.

მეგი ციხკაძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იტალიური ფილოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის სტუდენტი

„ლაზარე საქართველოს აღდგენა“

„ლაზარე-ქართველი ერი”

„ლაზარე-საქართველოს გაბრწყინება”

ამგვარი სიტყვები მიგვანიშნებს ქართველ ტომობრივ – ეთნიკურ კავშირზე ლაზებთან, მეგრელებთან, ესე იგი, კოლხებთან და იბერიალებთან და სწორედ ამით იოანე ზოსიმე გვიმხელს ქართველი ერის წარმოშობას. ასეთი ქართულ – ტომობრივ კავშირის გარეშე ლაზარე კარგავს თავის შინაარსს. რადგან ეს სახელი რომ ყოფილიყო, მაგალითად, პეტრე ან მარკოზი, იქნებოდა გაუგებარი ქართველ ერთან დაკავშირებით. სახარებასა შინა არის მრავალი სახელი, მაგრამ ქრისტემ ამოარჩია მხოლოდ და მხოლოდ ლაზარე, რომელიც „აღდგება აღდგომის უკანასკნელ დღეს”, ესე იგი, ქრისტეს მეორედ მოსვლისას, რომელიც ამხელს მსოფლიოს ქართველურ ლაზურ-მეგრულ ენაზე, ზუსტად ამ საიდუმლოს გვიმხელს იოანე ზოსიმე, როგორც ქართული ენისა და ერის წარმოშობაზე დაკავშირებულს ქრისტესთან.

რატომ დაასახელა იოანე ზოსიმემ ლაზარე ქართული ენის და ერის საიდუმლოდ?

თვით სიტყვა სახელი ლაზარე მარტივად პასუხობს ამ კითხვაზე ლინგვისტურ საფუძველზე.

სახელი ლაზარე შედგება ორი სიტყვისაგან-„ლაზი” და „რე”.

„ლაზი” –აღნიშნავს ეთნიკურ-ეროვნულ(კოლხურ) კუთვნილებას.

„რე”-კოლხურ-მეგრულად ნიშნავს „არის”(ვარ), ამდენად „ლაზი რე”, ნიშნავს „ლაზი არის”, „ლაზი ვარ”, „კოლხი ვარ”, „ქართველი ვარ”.

აი, ამნაირად მიგვანიშნებს იოანე ზოსიმე ქართული ენის და ქრისტეს წარმოშობის შესახებ უფალი ქრისტე, როგორც განკაცებული, მიწიერ ცხოვრებაში იყი ლაზ-მეგრელი კოლხი და თავისთავად ფლობდა ქართველურ, ლაზურ-მეგრულ ენას. ძველთაძველ ქართველურ ლაზურ- მეგრულმა ენამ შეასრულა თავის მისია დედამიწაზე და დარჩა დაწუნებული, ღრმა შინაარსობრივი, მაგრამ არაღიარებული სალიტერატურო და დამწერლობითი, სკოლის გარეშე, მეცნიერების გარეშე, საზოგადოების გარეშე და მარტო ოჯახებში შეინარჩუნა „შემკული, მდაბალი და დაწუნებული” თავისი პირველყოფილი სახე, მიძინებული, საერთო ანგარიშში, ყველაზე ნაკლებ ორი ათასი წელი, ბაბილონის გოდოლის მშენებლობისას ღმერთმა აღიარა ენები, მაგრამ ლაზარეს შეუნარჩუნა, ე.ი. დასაბამი უფლის ენა შენარჩუნდა. იმავე დროს, როგორც ცნობილია ყველაფერი უბრუნდება დასაბამს, თავის საწყისს –ეს არის ფილოსოფიის მუდმივი კანონი და იოანე ზოსიმეს საიდუმლო.

„და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა, მდაბალი და დაწუნებული, დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისათა”.

რატომ ილაპარაკებს და ამხელს მსოფლიოს ღმერთი თავის მოსვლისას დედამიწაზე მეგრულ ენაზე?

არა იმიტომ, ანუ არა მარტო იმიტომ, რომ მეგრული ენა არის პროტოქართული ენა. უპირველესად იმიტომ, რომ მეგრული ენა არის დედამიწის ხალხთა პროტოენა-პირველი განვითარებული ენა. რომელმაც დაუდო საფუძველი მსოფლიოს სხვა ენებს.

სწორედ ეს გარემოება არის მთავარი განმსაზღვრელი მისი ცნობისა პროტონურად და სწორედ ამით წარმოადგენს კაცობრიობის პირველყოფილი და ამვდროულად უფლის ენას.

რა გადაარჩენს საქართველოს?

1. ქართული ფასეულობების დაცვა, თანამედროვე გამოწვევაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრების გაძლიერება.
2. უკვდავი სული.
3. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრილობა.
4. ქართული ენა.
5. ტაძრები, ეკლესია-მონასტრები, კულტურა, ხელოვნება, მუსიკა...
6. ყველაფერი ის, რაც შეუქმნია ჩვენს წინაპრებს.
7. თანაგრძნობის ნიჭი.

ეს ფასეულობები გადაარჩენს საქართველოს.

მერი გვასალია

„მე საქართველოს ელჩებს ვზრდი ქვეყნის გარეთ“

უცხო ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლა მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული. ცხოვრების ახალ სტილთან მორგება და უცნობ ადამიანებთან კავშირების დამყარება დიდ ძალისხმევას მოითხოვს. მტკივნეულია იმის გააზრებაც კი, რომ სამშობლოსგან შორს მყოფს საკუთარი ენა დაგავიწყდეს. ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამემამულეები, ქრისტინა კორშია და თამარ დადიანი მოგვითხრობენ თუ როგორ უფრთხილდებიან მშობლიურ ენას უცხოეთში მყოფი ჩვენი თანამემამულეები.

ქრისტინა კორშია (ისრაელი)

ქართული ენა თავისუფლებაა, სიწმინდეა. დიდი ფუფუნებაა ფლობდე ქართულ ენას,

გქონდეს "სიტყვათა კონა" და გყავდეს "შოთა, ვაჟა, საბა, ილია და გალაკტიონი".

ქართული ენა არის საქართველოს სახელმწიფო ენა, ქართული იდენტობის და კულტურული თვითმყოფადობის სიმბოლო. მას უჭირავს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი მსოფლიოს კულტურულ ენათა შორის და განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა აქვს კავკასიის რეგიონში.

საკუთარ იდენტობას არ კარგავენ უცხო ქვეყანაში მცხოვრები თუ დაბადებული ქართველებიც. ნაკლებად გვახსენდება ემიგრაციაში მყოფ ქართველებს ქართული დავიწყებოდათ, პირიქით, ჩვენ ვცდილობთ ყველგან შევიქმნათ ქართული გარემო. იქმნება ქართული სკოლები, ცეკვებისა და სიმღერების წრეები, ვცდილობთ ჩვენს შთამომავლობას სიყვარული და ემოციები ქართულად გავუზიაროთ, ქართულად მოვეფეროთ,... მარტო ქართულად შეგვიძლია ვთქვათ "შენი-ჭირი-მე", "გენაცვალე", საკუთარი სიცოცხლე ანაცვალო სხვისას.

ჩემი შვილებისთვის ქართული ენა მახლობელი და მშობლიურია. მათი ქართულად ამეტყველება არ ყოფილა რთული. როცა ისრაელში ჩამოვედი, არ ვსაუბრობდი ივრითულად. ოჯახშიც ქართულად ვმეტყველებთ. უფროსი ქალიშვილი 9 წლისაა და წერს და ლაპარკობს ქართულად. ქართულად წერა-კითხვა გოგებაშვილის "დედა-ენით" დავიწყეთ და შემდეგ სწავლა ისრაელში დაარსებულ ქართულ-საკვირაო სკოლა "მამული"-ში გავაგრძელეთ. 2020 წლიდან პანდემიის გამო სკოლა დაიკეტა დროებით, მაგრამ ჩვენ ვაგრძელებთ სწავლას. ლიკას ყავს ქართულის პედაგოგი საქართველოდან - მარიკა მასწავლებელი. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ასე მგონია, რომ უფრო კარგად გრძნობს და ითვისებს საქართველოს და ქართულ სულს.

2 წლის წინ, საქართველოში ვიზიტისას ყველა მნიშვნელოვან ადგილს თუ მუზეუმს ვეწვიეთ. ლიკამ პატარა ვიდეორგოლები გააკეთა და ისრაელში თავის მეგობრებს ჯგუფში საქართველოზე პრეზენტაცია წარუდგინა. ატრიბუტად ჰქონდა "ქართული ანბანი", დროშა, სამოსი და დოლი. თავის ვიდეო რგოლის შესავალში ლიკამ თამარ მეფეზე ისაუბრა და წარადგინა, როგორც ერთადერთი და უძლიერესი ქალი-მეფე მსოფლიო ისტორიაში.

ლაზარე 6 წლისაა. საუბრობს ქართულად მაგრამ არა ძალიან კარგად. მისთვის იმდენად მნიშვნელოვანია "ქართული ენა" რომ, სიტყვის სწორად წარმოთქმა და მნიშვნელობა თუ არ იცის, ჯერ აუცილებლად იკითხავს, მოგისმენს და შემდეგ გამოიყენებს, რათა არასწორად არ წარმოთქვას და არ დაამახინჯოს სიტყვა.

როცა უცხო მიწაზე შობილ შვილებს „იავნანას" უმღერებ, ქართულ ზღაპრებს წაუკითხავ, ქართულ სულს და სითბოს ჩააქსოვ მათ აღზრდაში, როცა შვილი ქართულად გეძახის "დედას", ეს დიდი სიამაყის გრძნობაა... მაგრამ მთავარი შრომა წინაა, როცა ქართული ენისა და იდენტობის შენარჩუნებაა საჭირო. დედის კალთას რომ მოსცილდებიან და გარემოსთან დაიწყებენ ადაპტირებას, შემდეგ უფრო მეტი შრომა და კავშირია საჭირო მათთან და ყველაფერ ქართულთან... როცა ჩემი პატარები ბოლომდე შეისისხლხორცებენ ყველაფერ ქართულს, მხოლოდ შემდეგ შეიძლება ვთქვა, რომ მე საქართველოს ელჩებს ვზრდი ქვეყნის გარეთ და რომ მე სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ვარ. იქამდე კი მე და ჩემს ოჯახს ბევრი გზა გვაქვს გასავლელი (ჯერ ძალიან პატარები ვართ) .

როგორც იცით, საქართველოში საუბრობდნენ და საუბრობენ ლაზურად, მეგრულად და სვანურად, მაგრამ მათ აერთიანებდათ "მიწა ქართული" და "ენა ქართული", ისევე როგორც საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ყველა ქართველს კუთხური წარმომადგენლობის და მიუხედავად.

როდესაც დილით, მზის ამოსვლისას ქართულად იტყვი "დილა მშვიდობისას", დღე იწყება ქართულად და უკვე წარმატებულად, მაშინ ყოველი დღე იმაზე მნიშვნელოვანია ვიდრე გგვგონია!

თამარ დადიანი

მე ვარ ქართველი, რომელიც სამშობლოდან შორს იმყოფება, მაგრამ არასდროს დაივიწყებს მის მშობლიურ კერას და რათქმა უნდა ენას რომლითაც ვისწავლე ფიქრი, აზროვნება და ჩამოვყალიბდი პიროვნებად. როცა ვიბადებით ვიწყებთ სამყაროს შესწავლას ენაზე რომელიც ჩვენი მშობლიური ენაა. ჩვენ ქართველებმა ძალიან კარგად ვიცით თუ რას ნიშნავს ჩვენთვის მშობლიური ენა. ქართველები მშობლიურ ენას ხომ "დედაენას" ვუწოდებთ რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს მის განსაკუთრებულობაში. ესე იგი ენა ჩვენთვის დედასავით მნიშვნელოვანია და საყვარელია. ყველა ემიგრანტმა უნდა ჩაუნერგოს შვილს დედაენის სიყვარული, ბავშვებს რომლებსაც სხვა გარემოცვაში უწევს ყოფნა სადაც მისი მშობლიური ენა არცისე ხშირად ისმის, როგორც ჩემი შვილის შემთხვევაში და ასე იზრდება ბევრი ქართველი ბავშვი გარკვეული მიზეზების გამო, მაგრამ ეს არ უნდა გვაშინებდეს პირიქით უნდა გვაძლიერებდეს და გვიღვივებდეს სურვილს რომ ჩვენ შვილებს შევაყვაროთ დედაენა. ეს იქნება კიდევ ერთი აგური ჩვენი ენის გასამაგრებლად. ეს მხოლოდ ემიგრანტების არა, ყველა ქართველის ვალია, ყველამ უნდა გავაცნობიეროთ რამხელა განძი გაგვაჩნია და როგორ ძლიერ სჭირდება მას გაფრთხილება. დედაენის გარეშე გაზრდილი ადამიანი ხომ კარგავს მის ტრადიციებს და კულტურას რაც ხელს შეუწყობდა ჩვენი ენის, ქვეყნის ჩამოშლას. ჩვენი ენა არ უნდა დაიკარგოს. მას უძველესი დროიდან იცავდნენ სისხლის ფასად, რადგან ესმოდათ მისი ფასი, ის ხომ შეუფასებელია, დღეს კი ყველა ჩვენთაგანის ვალია დავიცვათ და გავუფრთხილდეთ რადგან წინაპრებისგან დატოვებული მამული ენა და სარწმუნოება არის განძი რომლის დაცვა ჩვენი შვილების ნათელი მომავლის გარანტია.

მოამზადა
მ. გერგაიამ

ახალი ლექსები

ელისო ლემონჯავა, „კოლხეთის" მკითხველებისათვის ნაცნობი, ფაქიზი გემოვნებისა და მრავალწახნაგოვანი სულის, სამშობლოზე, ახალგაზრდებზე მოფიქრალ-მოწუხარი ქალბატონი, მენჯის საჯარო სკოლის პედაგოგია. სულ თავიდან მშობლიურ ჩხოროწყუში რაიონულ გაზეთ „კვალს" რედაქტორობდა, მუშაობდა სოხუმის ცოტნე დადიანის სახელობის ჰუმანიტარულ ინსტიტუტში, თან იმავე ინსტიტუტის გაზეთსაც ხელმძღვანელობდა, აქტიურად თანამშრომლობდა ჩვენს რედაქციასთანაც. გამოცემული აქვს მოთხრობების კრებული.

ქალბატონი ელისო წერის კულტურით, ფაქიზი სულით, ხედვის მასშტაბით... გამორჩეულია.

29 აპრილს დაბადებულ ჩვენს კოლეგას ვულოცავთ გაჩენის დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდის საწაღმართო გზაზე დაყენებას, პროდუქტიულ შემოქმედებით ცხოვრებას...

გთავაზობთ ქალბატონ ელისოს ახალ ლექსებს.

9 აპრილი

ცრემლი შეიმშრალე, დედა,
ცრემლი სისხლიანი კვირის,
ყველგან, სადაც გაიხედავ,
ღმერთო, საქართველო ტირის.
სუნთქვა გაუჭირდათ ჭადრებს,
ირგვლივ შავ ძაძებში დგანან,
ეს, ვინ მოგვიწამლა სული,
ეს, ვინ მოგვიშვირა დანა.
ღმერთო, საქართველო შავში,
სული ანთებული დროშად,
შენი დაჩეხილი ბავშვი,
ახლა რწმენის კედლად მოჩანს...
შენი თვალდათხრილი შვილი,
როგორ შეეგებოს აპრილს,
როგორ მოეფეროს თბილისს,
ანდა რუსთაველის ახლოს,
როგორ გაიაროს ლაღად,
რადგან მერამდენედ კლავენ,
ვერვინ მოგვერიოს ახლა,
ერთად მგლოვიარე ქართველთ.
ღმერთო, ლურჯთვალება აპრილს,
ეს რა ყვავილებით მორთავ...
„შეიბ, მახვილიო!"-გესმის?!-
შენი საქართველო შფოთავს.
შენი საქართველო ტირის,
ნაწამ- გატანჯული მისხლით,
ტოტი დაუხრია ტირიფს,
უღმერთოდ დაღვრილა სისხლი.
ცრემლი შეიმშრალე ,დედა,
ცრემლი სისხლიანი კვირის...
ყველგან, სადაც გაიხედავ,
ღმერთო, საქართველო ტირის.

***

მარტის დილა დათრთვილულა
თოვლის ფიფქთა ფარდებად
და ზმანებისფერი არის,
ქალის გამონათება....
მიდის ქალი,მიფარფატებს,
მიწას აღარც ეხება...
ათას გულს რომ ცეცხლს უკიდებს,
ამას, მართლაც, ვერ ხვდება...
ქალი ატმის ყვავილივით
ფაქიზი და თავნება,
შეხედავ და ყველა დარდი,
წამში განიავდება....
მარტის დილა დათრთვილულა,
ქუჩებს თოვლი ეწვია
და ზმანებისფრად ანათებს,
ქ ა ლ ი -ზამთრის მზეწვია!

***

დრომ ალმაცერად გადმოგვხედა
რუხი ფარდიდან...
ბევრის მნახველი...
კულისებში უხმოდ გავიდა...

***

სამყარო იების სურნელით იალებს,
ფარფატებს ფერებში ფერადი მთა-ბარი,
თუ დედამიწა კვლავ მშვიდად ტრიალებს,
ამაში დ ე დ ა ა,დ ე დ ა ა მთავარი!
შენ,ვინც ჩამომჭკნარ სიჩუმეში მოლოდინს ფურცლავ,
ვისი ჩაბურუსებული მზერაც მხოლოდ ჭიშკრამდე
წვდება,
ვისი ღამის სიზმრებში შვილების
ბავშვობა დატანტალებს...
შენ ...გილოცავ, დედა!

***

დაღლილ დღეებს გადარეკავს ქარი,
სოფლის ფერდობს აფენია ნისლი,
გაიხედავ,ყველგან ნასახლარი
და ძარღვებში მიშეშდება სისხლი...
შარაგზაზე შიშისფერი მზერა,
ფენა-ფენა სძინავთ დაღლილ ფოთლებს,
თებერვალი მკითხავს ალმაცერად,
რა მტკივა და,ასე რა მაშფოთებს...
დაიცალა...მიდიან და ვწუხვარ,
ქარი უსტვენს დაბოქლომილ სახლებს...
ყვავყრანტალა აწიოკებს მუხას,
მარტოსული აქ გამოიზამთრებს...

***

კენკროვანებში დაკრთის ნიბლია
და დილის საზრდოს კანკალით ეძებს,
ჩვენ დავივიწყეთ ღმერთი...ბიბლია...
და დავემონეთ საწუთროს კერპებს.
სული დაგვიშრა...დაშაშრულია,
ფიქრის ნაკაწრით წამი ყოველი...
და მივაბიჯებთ გზაზე სრულიად ცალკე-
ჩვენ... ცალკე-წუთისოფელი...

***

ვეღარ ვიპოვე სულის სალბუნი,
დავერცხლილია უხმოდ სამანი,
ერთად ვიქნებით,თუ მომაბრუნებთ,
მე,შენ და ჩემი იასამანი...
სანთლის ციმციმში კრთება სიჩუმე,
ცივად მაცილებს თეთრი ზამთარი,
ახლა, ამ ტკივილს თუ გამიყუჩებს,
მე, შენ და ჩემი იასამანი...

ზვიად გამსახურდია – ეროვნული გმირი

31 მარტი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი და ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გახლდათ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსთველოლოგი, პოეტი, ბელეტრისტი და მთარგმნელი, ამერიკული და ბრიტანული ლიტერატურის მკვლევარი, წინაპრების ღირსეული შთამომავალი, ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის მედროშე, ერთ-ერთი უძლიერესი დისიდენტი, ადამიანის უფლებათა დამცველი და პოლიტიკოსი.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის და 9 აპრილის აქტის საფუძველზე პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ 9 აპრილს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, შეკითხვით: „ხართ თუ არა თანახმა, რომ აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა". სწორედ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის 98%-მა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. ეს იყო ქართველი ხალხის ნება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდესი გამარჯვება, რომლის სულის ჩამდგმელები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ბრძანდებოდნენ.

დიდი კლასიკოსი მწერლის კონსტანტინეს ვაჟიშვილმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, თავის სიყრმის მეგობარ მერაბ კოსტავასთან ერთად ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან დაიწყეს უშეღავათო ბრძოლა სამშობლოს გასათავისუფლებლად. ეს ბრძოლა ია-ვარდებით არ ყოფილა მოფენილი

ბრძოლის გზაზე ბატონი ზვიადის ცხოვრება იყო ჯოჯოხეთური, გოლგოთა, არ დაკლებია მას ციხის ჯურღმულები, გადასახლება, სუკის მიერ დევნა და შევიწროება, მაგრამ ის ამ ყველაფერს რაინდული შემართებით, ოლიმპიური სიმშვიდით, ვაჟკაცურად იტანდა.

სამშობლოს გამყიდველმა , ვაი ქართველებმა (რომლებიც ყველა დროში ბლომად იყვნენ და არიან დღესაც) ქართველი ხალხის მტრების მიერ წაქეზებულმა ოპოზიციამ იარაღის გამოყენებით დაამხო ზვიად გამსახურდიას ეროვნული და კანონიერი ხელისუფლება და იგი იძულებული შეიქნა სამშობლოდან გადახვეწილიყო. ბუნებრივია მათხოვრად ქცეული, უფულო და გაღარიბებული საქართველო წინ ვერ აღუდგებოდა გლობალ-მასონთა მილიარდებს, ამიტომაც იოლად მოახერხეს მათ, საქართველოში ზვიად გამსახურდიასთან დაახლოებული ვაი პატრიოტების ნიღაბმორგებული პოლიტიკოს-იუდების მოძებნა, რომელთა ხელშეწყობითაც ჯერ საქართველოდან გააქციეს, კანონიერად არჩეული პრეზიდენტი, შემდეგ სამეგრელოს ტყეებს შეფარებული დევნილად აქციეს და ბოლოს მუხანათურად სიცოცხლეს გამოასალმეს.

ზვიადის მოშორების სცენარი ალბათ ბევრად უფრო ადრე დაიწერა თეთრი სახლისა და კრემლის ბინძურ კაბინეტებში.

ზვიადის მკვლელებმა კარგად იცოდნენ, რომ შემკვეთი მათაც გაწირავდა და დავალების პირნათლად შესრულებისთანავე, გამომუშავებულ ოცდაათ ვერცხლს დაავლეს ხელი და თავქუდმოგლეჯილები გაიფანტნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. დღესაც ვერ ბედავენ საქართველოში დაბრუნებას, რადგან კარგად იციან, რომ საზოგადოებას მათი მისამართით უამრავი შეკითხვა დაუგროვდა. მათ საქართველოში ჩამოსასვლელი პირი არა აქვთ.

ზვიად გამსახურდია იმიტომ არ უყვარდათ გადაგვარებულ პარტ-ელიტას, რომ იგი დიდი კონსტანტინეს შვილი იყო და გამართული გენეტიკა ჰქონდა, ამასთანავე უკიდეგანოდ განათლებული მეცნიერი გახლდათ და ის საშიში იყო იმ გაუნათლებელი პარტ-ნომენკლატურისათვის.ზვიად გამსახურდიას სიკვდილით ბევრს ეგონა ქვეყანას ეშველებოდა, მაგრამ როგორც გვეშველა დღეს ყველანი კარგად ვხედავთ. საქართველო თანდათან იძირება ლიბერასტულ ჭენჭყში, ერი კარგავს მამაპაპურ ძირძველ ტრადიციებს, ეტრფის დასავლურ სურაგატულ ღირებულებებს, რაც გადაგვარებულებს ნორმალურ მდგომარეობად მიაჩნიათ. ღირსეული ადამიანი მოვაკვდინეთ და ასპარეზი უღირსებს დავუთმეთ. უვიც ადამიანთა გონებაში ძნელად აღწევს ჭეშმარიტების სხივი, ამიტომაც ისინი თავიანთ უგუნურობას არ ხედავენ და არც სხვების გონიერებას ამჩნევენ.

ბატონი ზვიადი იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი, ღირსეული და კანონიერი პრეზიდენტი, განუმეორებელი პატრიოტი თავის ქვეყნისა და ერისა. მასში თავმოყრილი იყო ყველა ის რაინდული თვისებები, როგორიცაა: ეროვნული სულისკვეთება, თავდადება და რწმენისადმი ერთგულება. ზვიად გამსახურდია სამყაროს შემოქმედმა საჭირო დროსა და ადგილას მოუვლინა ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს. სამშობლოსათვის გულანთებულს რამდენჯერ გაუმეორებია, მე რამდენიც გინდათ მლანძღეთ, ოღონდ საქართველოს თავი დაანებეთო. მას შეეძლო პირწმინდად გაენადგურებინა ოპოზიცია, მაგრამ მასში იმდენად დიდი იყო დიდსულოვნება, მაღალზნეობრიობა, მან ეს არ გააკეთა, მან მოწამეობრივი ქრისტეს გზა აირჩია და დევნილობაში დაასრულა სიცოცხლე.

ის ამქვეყნიდა წავიდა ვაჟკაცურად, მორალურად გამარჯვებული, მას უზენაესმა მოანიჭა ალბათ იმის უნარი, რომ ყოფილიყო სამშობლოსათვის წამებული რაინდი. ამ ბუმბერაზ ერისკაცს ყველა გვერდში რომ დადგომოდა და ეცლიათ, იქნებ ქვეყნის ნგრევა-გაპარტახება, ძარცვა აეცილებინა ქვეყანას და შიმშილის ზღვარზე არ მისულიყო.

ზვიად გამსახურდიამ ხანმოკლე მოღვაწეობის განმავლობაში საქართველო ეპოქალურ გარდაქმნას აზიარა.

საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ქართველმა ერმა აღადგინა არასაბჭოთა იმპერიის დაშლის, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად.

ბატონ ზვიადის დროს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ სცნო რამდენიმე ქვეყანამ.

31 მარტი ქართულმა სახელმწიფომ პატივითა და ღირსებით უნდა აღნიშნოს საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაბადების დღე. ის ნამდვილად იმსახურებს ფართოდ და პომპეზურად აღნიშნონ ეს თარიღი საქართველოში.

სწორედ ზვიად გამსახურდიაა დიდი პოლიტიკოსი, მან სიცოცხლეშივე დაიდგა უკვდავების ძეგლი, ზვიად გამსახურდიამ სიკვდილში იპოვა სიცოცხლე და თვით გახდა უკვდავება. დასანანია, რომ ქართველ ერს არ ეღირსა სრული განთავისუფლება და დამოუკიდებლობა. ქართველი ერის გზა-ქრისტეს გზაა ეკლიანი, გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა!(ზვიადი)

„მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ" (მათე).

ბიჭიკო თუნთია

საერთაშორისო კონფერენცია

ზუმის ვიდეო-კომუნიკაციის საშუალებით 2021 წლის 7 მარტს გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „პასიფაეს მემკვიდრეობა".

კონფერენციის იდეის ავტორი, ორგანიზატორი და მასპინძელი გახლდათ ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრი, სენაკის საპატიო მოქალაქე, გაერთიანებულ სამეფოში ქართულ საქმეთა კოორდინატორი, გაერთიანებული სამეფოს პირველი ქართული სკოლის ფუძემდებელი ქალბატონი ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანი,

კონფერენციაზე განიხილეს აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, ევროპის ლინგვისტური და ევროპის მათემატიკური საზოგადოებების, საერთაშორისო ლინგვისტური ასოციაციის, მედიტერანული კვლევების ასოციაციის(აშშ) წევრის, გია კვაშილავას სამეცნიერო მოხსენება თემაზე „პროტოქართველების პროტოქართველური ენისა და ა კლასის ხაზოვანი წარწერების შესახებ(მოკლე მიმოხილვა, ძირითადი შედეგები)".

ამ შესანიშნავი იდეის ავტორის და ორგანიზატორის, ბრიტანეთში მოღვაწე ქალბატონ ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანის შეფასებით, საერთაშორისო –სამეცნიერო კონფერენცია მსოფლიოში მიმოფანტული ქართველების გაერთიანების იდეას ემსახურებოდა.

ქალბატონი ლიანა მადლობას უხდის საქართველოს მთავრობას და საგარეო საქმეთა სამინისტროს: დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს, ბატონ მუხრან გულაღაშვილს, დიასპორასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსს, ქალბატონ ალიონა ჩხოტუას, მრჩეველს, ქალბატონ ლელა შველიძეს და ატაშეს, ქალბატონ თამარ ჩხაიძეს.

მადლობას იმსახურებენ საზღვარგარეთ არსებული საელჩოებისა და საკონსულოს წარმომადგენლები: ნიდერლანდებში საკონსულოს დროებითი რწმუნებული, ბატონ გიორგი ნაკაშიძე, ესპანეთის კონსულის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი თემურ ბასილაია, იტალიის ელჩი, ბატონი კოტე სურგულაძე, გაერთიანებული სამეფოსა და ჩრდილო ირლანდიის კონსული ქალბატონი მარიკა წერეთელი და მარინა თიგიშვილი.

ჩვენი სამშობლოს ოფიციალური წარმომადგენლები მსოფლიოში: საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მუდმივი წარმომადგენელი ქალბატონი თამარ ბერუჩაშვილი, ჩვენი უნიჭიერესი, რჩეული და თავის საქმის პროფესიონალი მეცნიერ-პროფესორები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი: ქალბატონები, დალი ბახტაძე, ნანა შენგელია, ნანა მახარაძე, ხელოვნებათმცოდნეობათა დიქტორები ბატონები: პაატა იაკაშვილი და ბუბა ხოტივარი. საქართველოს მეცენატი-ქველმოქმედი ადამიანები: სამეცნიერო-საგანმანათლებლო საზოგადოება "პრომეთეოსი" დამფუძნებელი: ბატონები პაატა ეჯიბია და ლაშა ლატარია, ქალბატონი ნანა სოლომონია. საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, ფილოლოგი, მწერალი, ქალბატონი ლუარა ჯიქია. საერთაშორისო ქართულ სკოლებს და საქართველოს მოზარდებს წარმოადგენდნენ: მილანის(იტალია) ქართული სკოლა "თამარიონი", დირექტორი ქალბატონი მაკა გიგიაძე (სტუდენტი, მარიამ ლიკლიკაძე); ირლანდია, დუბლინის საკვირაო სკოლა"ლამპარი", დირექტორი: ქალბატონი ანელი აწკარუნაშვილი, პედაგოგები: ქეთი ჯიღაური, ეკა ფეიქრიშვილი (სტუდენტი სალომე მინდაძე); ესპანეთი, ვალენსია, გაერთიანებული სამეფოს პირველი ქართული სკოლის დისტანციური სწავლების სტუდენტი: ნანა მაღრაძე; სამეცნიერო-საგანმანათლებლო საზოგადოება "პრომეთეოსის" ისტორია-არქეოლოგიის მიმართულების კოორდინატორი, ქალბატონი ეკა კარტოზია; „ქართული იდეის სკოლა" დირექტორი ქალბატონი ქეთი ცხოვრებაშვილი, (მოსწავლეები: ნინი ონიანი; გიორგი არბოლიშვილი; სალომე კანდელაკი; დეა ჯოჯუა; ალექსანდრე ცხოვრებაშვილი; მათე უთნიაშვილი; თეოდორე უთნიაშვილი; ალექსანდრე ცხოვრებაშვილი;

სენაკის კერძო სკოლა ლიცეუმი

გიორგი გოგოლაძე; ლილე კახნიაშვილი და ნათია ოზმანოვი). საქართველო. თბილისი. სამეცნიერო – საგანმანათლებლო საზოგადოების „პრომეთოსი" ისტორია-არქეოლოგიის მიმართულების კოორდინატორი, ქალბატონი ეკა კარტოზია, (მოსწავლეები: ნინო ტატინაშვილი, მარიამ ბებიაშვილი, სოფია ჩემია, რატი აბაიაძე, ანასტასია ჩახნაშვილი, დემეტრე ქევანიშვილი, მარიამ ლუტიძე), საქართველო. თბილისი. არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართული იდეის სკოლა" დირექტორი ქალბატონი ქეთი ცხოვრებაშვილი, (მოსწავლეები: ნინო ონიანი, გიორგი არბოლიშვილი, სალომე კანდელაკი, დეა ჯოჯუა, დავით შენგელია, მათ უთნიაშვილი, თეოდორე უთნიაშვილი, ალექსანდრე ცხოვრებაშვილი, გიორგი გოგოლაძე, ლილე კახნიაშვილი, ნათია ოზმანოვი).

საქართველო. სენაკის კერძო სკოლა – ლიცეუმი. დირექტორი ნანა ნორაკიძე, პედაგოგი დარეჯან ფაჩულია, (მოსწავლეები: ლუკა ხარებავა; ნატა ხუნტუა; ბარბარე გაბისკირია; ანა დგებუაძე; კობა ბუკია; გიორგი ლაშქარავა; საბა ჩუხუა). საქართველო. სენაკის მე-2 საჯარო სკოლა, პედაგოგი ქალბატონი ლუარა ჯიქია, (მოსწავლეები: ბესო ზარქუა და ზურაბ გაბუნია).

საქართველო. ბოლნისი, ააიპ "საქართველოს საპატრიარქოს იოანე ბოლნელის სახელობის სკოლა" დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნინო დევნოზაშვილი, (მოსწავლეები: ანა ქველიძე და მარიამ უგრეხელიძე). მეცნიერები:1). ნელი მახარაძე -ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,(ორმაგი დოქტორი,) ჟურნალ "ქართველოლოგიის" რედაქტორი; 2). რამაზ ბუბა ხოტივარი – საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი. კინორეჟისორი. 3). პაატა იაკაშვილი – კინომცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. 4). ნანა შენგელაია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ლინგვისტი. 5). დალი ბახტაძე – გერმანისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. კონფერენციის მონაწილეები კონფერენციის დასრულების შემდეგაც ცოცხალ რეჟიმში საუბრობდნენ თავიანთ განცდებზე და სამეცნიერო თემებზე.

ბატონ გია კვაშილავას გადაეცა მსოფლიო მასშტაბის სამეცნიერო კვლევა-აღმოჩენისა და სამშობლოს წარმოჩენისთვის „საერთაშორისო აიელი რაინდის წოდება" და ზემოთ ჩამოთვლილ ახალგაზრდებს „საერთაშორისო აიელი რაინდის მაძიებლის წოდება".

მ. ეჯიბია

მადლობას იმსახურებს

ორმოცი წელია მეორე ნოსირის მცხოვრებლები ოცნებობდნენ ჰქონოდათ კეთილმოწყობილი გზა, მაგრამ ეს ოცნება ოცნებად რჩებოდა. რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე მრავალწლიანი თხოვნის მიუხედავად აღნიშნული საკითხი მოუგვარებელი რჩებოდა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი გულისხმიერად მოეკიდა ხალხის თხოვნას და ხალხის სურვილი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

ბატონო ლევან, თქვენს მიერ გაკეთებული საქმე არის გამოხატულება ხალხისადმი თანადგომისა და სოლიდარობისა. დიდი მადლობა თქვენ ყველაზე მეტად საჭირო ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისათვის.

აქვე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისის" დამფუძნებელს ბატონ დემურ გადელიას, ყველა მეგზევეს და იმ ადამიანებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ მეტად სასარგებლო საქმის მოგვარებაში.

რევაზ ჩილაჩავა,
II ნოსირის მცხოვრებლების სახელით

გვასახელეს

ქალაქ რუსთავში, ბერძნულ-რომაული ჭიდაობაში, 13-14 აპრილს გამართულ საქართველოს პირველობის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, სენაკელმა სპორტსმენებმა ორი ოქრო და ერთი ბრინჯაოს მედალი და - საქართველოს ჩემპიონის ტიტულები მოიპოვეს.

წარმატებულმა სპორტსმენმა, არაერთგზის საერთაშორისო და რესპუბლიკური ჩემპიონატების პრიზიორმა გიორგი ჩხიკვაძემ ახლაც შესანიშნავად იასპარეზა და 72 კგ. წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა. ოქროს მედალოსანი გახდა 67 კგ. წონით კატეგორიაში პერსპექტიული სპორტსმენი

ლუკა ოჩიგავა. გიორგი ჭაავა კი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა 77 კგ. წონით კატეგორიაში.

„კოლხეთის" რედაქცია ულოცავს სპორტსმენებს ამ დიდ გამარჯვებას და უსურვებს წარმატებებს.

მ. შონია

სპორტი
სპორტის საერთაშორისო დღე

სენაკის სასპორტო გაერთიანების სპორტის სასახლეში, სპორტის საერთაშორისო დღე აღინიშნა.

გაეროს ინიციატივას, რომელიც მსოფლიოში, სპორტის საშუალებით, მშვიდობის დამკვიდრებისა და განვითარებისკენაა მიმართული, საქართველო 2014 წლიდან შეუერთდა.

,,საერთაშორისო სპორტის დღე მშვიდობისა და განვითარებისათვის" (International day of Sport Peace and Development), მას შემდეგ ყოველწლიურად აღინიშნება. ღონისძიების ფარგლებში, საჩვენებელი სპორტული აქტივობები გაიმართა: ძიუდოში, ტაეკვონდოსა და კარატეში. ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციასა და მის მნიშვნელობაზე სასპორტო გაერთიანების მწვრთნელ-მასწავლებლებმა - ელგუჯა ჩემიამ, მორის სანაიამ და გოგიტა გოგიამ ისაუბრეს. აღნიშნეს, რომ სპორტი ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას, პოზიტიურ ცვლილებებს, მშვიდობის განმტკიცებას და ა. შ. ღონისძიებას მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის უფროსი სპეციალისტი გოგიტა მზარელუა, სენაკის სასპორტო გაერთიანების დირექტორი ჯუმბერ ლაშქარავა, სასპორტო გაერთიანების დირექტორის მოადგილე ნუგზარ ძაძამია, სასპორტო გაერთიანების მთავარი სპეციალისტი სპორტისა და ინფრასტრუქტურის საკითხებში ანზორ ცაგურია, შესაბამისი სამსახურებისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სენაკის სასპორტო გაერთიანება ასევე შეუერთდა "თეთრი ბარათის" - №WhiteCard კამპანიას, რომელშიც აქტიურად ჩაერთვნენ როგორც მოქმედი, ასევე ვეტერანი სპორტსმენები. თეთრი ბარათი არის წითელი ბარათის საპირწონე და სპორტის პოზიტიური ძალის, სამართლიანობისა და მშვიდობის სიმბოლო.

კარატე

27-28 მარტს, ქალაქ თბილისში, სპორტულ კომპლექსში ,,არენა - 1", დასრულდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კარატეში, WKF - ის წესებით, შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში: 14-15 წლის, 16-17 წლის, 18-20 წლის და 16 წელს

ზემოთ. ჩემპიონატში, სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის მოსწავლეებმა - კესო ტყებუჩავამ და ლუკა ნოდიამ იასპარეზეს.

პირველი ადგილი წილად ხვდა კესო ტყებუჩავას (16-17 წ.) და მან საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

მესამე ადგილის მფლობელი გახდა ლუკა ნოდია (18-20 წ;84კგ. წონით კატეგორიაში) სა და მესამე კატა +18წ. მწვრთნელ- მასწავლებელი - ელგუჯა ჩემია.

ვულოცავთ კესო ტყებუჩავას და ლუკა ნოდიას მოპოვებულ გამარჯვებას; მათ მწვრთელს, დამსახურებულ და ვეტერან სპორტსმენს, ელგუჯა ჩემიას ნორჩ სპორტსმენთა აღიარებას და წარმატებებს ვუსურვებთ.

ჭადრაკი

დასრულდა საგაზაფხულო ჩემპიონატები მაია ჩიბურდანიძის ონლაინ-კლუბში. ჭადრაკის დედოფლის აკადემიის ჩემპიონატი გაიმართა ორ კატეგორიაში: 8 წლამდე ასაკის ბავშვებსა და მაია ჩიბურდანიძის ონლაინ-კლუბის პირველობის პრიზიორ, 2100- მდე რეიტინგიან მოჭადრაკეებში. ტურნირში მონაწილეობადნენ სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის ნორჩი მოჭადრაკეები, მწვრთნელი ზურაბ ლიფონავა.

12 მარტს გამართულ საგაზაფხულო ჩემპიონატების მეორე ეტაპის ტურნირებში - ჭადრაკის დედოფლის აკადემიის ღია პირველობა 8 წლამდე ასაკის ბავშვებსა და მაია ჩიბურდანიძის ონლაინ-კლუბის პირველობა 2100-მდე რეიტინგიან მოჭადრაკეებში, ალექსი გოგიამ წარმატებით იასპარეზა და 5,5 ქულით მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

21 მარტს, გამართულ მესამე ეტაპის ტურნირში 8 – წლამდელ მოჭადრაკეთა შორის 5 შესაძლებლობიდან 4 ქულით მესამე ადგილი დაიკავა ზურაბ მალანიამ, ხოლო 2100-მდე რეიტინგიან მოჭადრაკეებში კი მესამე ადგილი 5.5 ქულით წილად ხვდა ალექსი გოგიას.

28 მარტს, დასკვნითი მეოთხე ეტაპის ტურნირში კვლავ წარმატებით იასპარეზა ზურაბ მალანიამ 5 და 4 ქულით მეორე ადგილი მოიპოვა.

2100- მდე რეიტინგიან ტურნირში, 5 ქულით, მესამე ადგილი წილად ხვდა მწვრთნელს, ზურაბ ლიფონავას და ტურნირის პრიზიორის ტიტულიც მოიპოვა. ვულოცავთ გამარჯვებულებს და ვუსურვებთ წარმატებებს.

ირინე გაგუა,
სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი

მინდა დიდი გულისტივილი გამოვთქვა სენაკის სინამდვილეში პირველი მოსამართლე ქალბატონის, მაღალკვალიფიციური ნოტარიუსის, თითოეული სენაკელისთვის მზრუნველი და დაუღალავი მოღვაწის **ინეზა სალაყაიას** გარდაცვალების გამო.

ქალბატონი ინეზას ცხოვრება იყო სიკეთის და სამართლიანობის მსახურება.

მისი სახით სენაკმა დაკარგა ღირსეული და საამაყო მოქალაქე, კიდევ ერთი გამორჩეული შვილი.

ამ დიდ დანაკლისს, მთელი გულით ვუსამძიმრებ სენაკს, ოჯახს და მეგობრებს.

ლევან კუპრეიშვილი
სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

ინეზა სალაყაია

ჩვენი ქალაქის ინტელიგენციამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ქალაქის კოლორიტი, კომპენტენტური, გულმოწყალე და დიდსულოვანი პიროვნება ქალბატონი ინეზა სალაყაია.

ინეზა სალაყაიამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. მისი სამომავლო გზა მამის ირაკლი სალაყაიას პროფესიამ განსაზღვრა. (იურისტი იყო) ქალბატონი ინეზა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სენაკის რაიონულ სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობებზე. მოსამართლედ მუშაობის წლებში ავლენდა შეუდარებელ პროფესიონალიზმს. ადამიანების გულმხურვალე დამცველად გვევლინებოდა სენაკის რაიონის ნოტარიუსად მუშაობის დროს.

ქალბატონი ინეზა აქტიურად თანამშრომლობდა მედიასაშუალებებთან, რეგიონალურ, რაიონულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა მისი ავტორობით საქმიანი წერილები. გასული საუკუნის 90-იან წლებში ხელმძღვანელობდა გაზეთ „კოლხეთთან" არსებულ მართლწესრიგის დაცვის შტატგარეშე განყოფილებას. ერთ-ერთ ინტერვიუში ქალბატონი ინეზა წერდა. „35 წლის ვიყავი, როცა მოსამართლედ დავინიშნე, მხრებზე უზარმაზარი პასუხისმგებლობა დამაწვა. პროფესიის შეცვლა არასოდეს მიფიქრია, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ყოფიულა რთული მომენტები, განვიცდიდი განსასჯელის ბედს მითუმეტეს, თუ ის ახალგაზრდა იყო. მიტირია კიდეც სასამართლო პროცესის დამთავრების შემდეგ, მაგრამ რას ვიზამდი კანონმდებელს კანონმორჩილება მევალებოდა"

ქალბატონი ინეზა ერთგულად ემსახურებოდა სენაკს და სენაკელებს. ცხოვრების დატვირთული რეჟიმის მიუხედავად არ ავიწყდებოდა მეგობრების მოკითხვა, ახლობლების ჭირისა და ლხინის გაზიარება. იყო შეუდარებელი დედა, მოსიყვარულე ბებია და დიდი ბებია. შთამომავლებს მუდამ საამაყოდ ექნებათ ქალბატონ ინეზას მიერ ღირსეულად განვლილი გზა.

პანდემიის მიუხედავად სენაკმა და სენაკელებმა ცრემლით და ყვავილებით გააცილეს ამაგდარი ქალბატონი უკანასკნელ გზაზე.

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია უსამძიმრებს ოჯახს ქალბატონ ინეზა სალაყაიას გარდაცვალების გამო. ჭეშმარიტად დააკლდა იგი არა მარტო ოჯახს არამედ სრულიად სენაკს. გვჯერა ამყვეყნიურ ცხოვრებაში მის მიერ დათესილი სიკეთე უცილობლად გაუნათებს მას გზას იმიერ საუფლოში. მშვიდობით ქალბატონო ინეზა!

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია

სინარ ჯოჯუა

40 დღე გავიდა, ზეციურ საქართველოში გადასახლდი. წახვედი ამ ქვეყნიდან და მოუშუშებელ ტკივილად დარჩი შენი მეუღლისთვის, შვილისა და შვილიშვილებისათვის, ყველასათვის ვინც გიცნობდა, ვინც შენს ახლობლად, შენს მეზობლად თვლიდა თავს. კეთილშობილო, კაცურ-კაცობის ეტალონით დამშვენებულო ადამიანო. როგორ ვაჟკაცურად გაეცალე ამ წუთისოფელს ისე, რომ ერთხელაც არ დაგიჩივლია შენს სხეულში ჩაბუდებულ ტკივილზე, რომელიც საყვარელი ქალიშვილის, ირინას გარდაცვალებით იყო გამოწვეული, რათა ირგვლივ მყოფნი არ შეგეწუხებინა, შენი მოუშუშებელი სატკივარი მათთვის თავს არ მოგეხვია.

სადაც იმუშავე, ყველგან გამოირჩეოდი პროფესიონალიზმით და კეთილსინდისიერებით, პრინციპულობით, იყავი საიმედო საყრდენი და უღალატო ადამიანი, ყველგან სითბო, სიყვარული და არაერთი კარგი მოსაგონარი დატოვე.

ძნელია წარმოიდგინო ჭარმაგი, მაგრამ ახოვანი, ტკბილად მოუბარი, სხარტად მოაზროვნე, ყველა ოჯახისათვის სასურველი სტუმრის, ჭირში და ლხინში თანამდგომი სინარი ჯოჯუას გარდაცვალება, ის დააკლდა არა მარტო თავის ოჯახს, არამედ ქუჩას, ქალაქს.

მშვიდად განისვენე, შენი დანატოვარი სითბო და სიკეთე მეგზურად გაჰყვება შენს ოჯახს, არასოდეს დაგივიწყებენ, სასოებით მოიგონებენ შენს სახელს და შენეულ ტრადიციებს ღირსეულად გააგრძელებენ შენი მეუღლე გოგონა, შვილი ირაკლი, შვილიშვილები ლილი და ალექსი, შენ ხომ მათი სათაყვანებელი ბაბუა იყავი. გაუფრთხილდებიან შენს სახელს.

მშვიდობით, ალალი იყოს შენს სახელზე დანთებული წმინდა სანთლები, უფალმა იქ მიგიჩინოს სამუდამო სასუფეველი, სადაც შენებრ მართალნი განისვენებენ.

მეზობლები

სერიოჟა მალანია

ქალაქს დააკლდა კიდევ ერთი უწყინარი, უპრეტენზიო, თავმდაბალი ადამიანი. რომელიც ყველა ნაცნობს უღიმოდა,გამარჯობას ვერავინ დაასწრებდა. სხვებისგან გამოარჩევდა გულიანი, ხმამაღალი მისალმებით და თავისებური ლექსიკით.

უყვარდა ქეიფი ძმა- ბიჭებთან და უკანასკნელის გაღება შეეძლო. სითბოსა და სიყვარულს უნაწილებდა ნებისმიერ ადამიანს.

მუშაობდა ქალაქვაჭრობისა და რაიკავშირის სისტემაში. სამუშაოს მუდამ კეთილსინდისიერად ასრულებდა. ჰყავდა უამრავი მეგობარი და გულშემატკივარი. სიცოცხლის ტრაგიკული დასასრულით ბევრ ადამიანს დაწყვიტა გული. განსაკუთრებით მეზობლებს, ნათესავებს.

ამბობენ უფალი ასეთ ადამიანებს ირჩევს და ცათა სასუფეველში მიჰყავსო. სწორედ ეს არის ნათქვამი სერიოჟა მალანიაზე. საკუთარი შვილები არ ჰყავდა, მაგრამ ჩვენი შვილები საკუთარივით უყვარდა. ეფერებოდა, ანებივრებდა.

წავიდა ამ ქვეყნიდან მოსიარულე კეთილშობილება. ახლა იგი ცისა და მიწის შვილია.

ნათელი დაადგეს მის სასუფეველს.

ბორისი, თამაზი, გულისა დავითაიეები.
აზა გარუჩავა, გული ბარკალაია

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ

რომანოზ თოდუას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ახლობლებს.

იზარდი წოწონავა ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს,

რომან თოდუას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ახლობლებს.

სენაკის ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ღირსეული სენაკელის, მუზეუმის დიდი მეგობრის, მეორე საჯარო სკოლის ჟიული შარტავას სახელობის კლასკაბინეტის ხელმძღვანელის

ირინა განგიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის სულს

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბალთურია
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი ჯომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499